პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 15 თებერვალი, 1949 წ. № 33 (8336). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპროჰესის მშენებლების მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი და ამხანაგ სტალინის პასუხი (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
მ. გარკუშენკო — როგორ ჩავატაროთ მეცადინეობა თემაზე „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო“ (მე-2 გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (მე-3 გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის [illegible] პასუხად (მე-3 გვერდი).
გ. კოსარევი — მეტი ყურადღება კოლმეურნეობებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარებას (მე-3 გვერდი).
მარიამ ისაკოვა—ორგზის მსოფლიო ჩემპიონი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს უახლოესი პერიოდის სამოქმედო პროგრამა დაუსახა მუშაობის ყველა დარგში.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კ. ჩარკვიანი თავის საანგარიშო მოხსენებაში, აგრეთვე კამათში გამოსული დელეგატები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების საკითხებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ პარტიული მუშაობის, კერძოდ პარტიული პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

კომუნისტების შეიარაღება რევოლუციური თეორიით ყოველთვის წარმოადგენდა ჩვენი პარტიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას. მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როცა საბჭოთა ადამიანების წინაშე დასახულია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დიადი სტალინური პროგრამა, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გრანდიოზული ამოცანა. მარქსიზმ-ლენინიზმი ის დაუშრეტელი წყაროა, საიდანაც ადამიანები იღებენ ჩვენი საქმის საბოლოო გამარჯვების ურყევ რწმენას, სწავლობენ წინსვლისა და განვითარების კანონებს, გამარჯვების მოპოვების ხელოვნებას.

„საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან კომუნისტების პოლიტიკური განათლების დარგში. მიმდინარე სასწავლო წელს კომუნისტთა პარტიული განათლება ბევრად უკეთ არის მოწყობილი, ვიდრე წინათ“, — განაცხადა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საანგარიშო მოხსენებაში.

რესპუბლიკაში ამჟამად 2.774 პოლიტსკოლაა, რომლებიც აერთიანებენ 48 ათას მსმენელს. მუშაობს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი 2.012 წრე—36.900 კომუნისტით. ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელ 495 წრეში 5.460 კომუნისტი სწავლობს. პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შექმნილ საღამოს პარტიულ სკოლებში 2.162 პარტიული და საბჭოთა მუშაკი იმაღლებს პოლიტიკური განათლების დონეს. ხელმძღვანელი მუშაკების იდეური დონის ამაღლებას ემსახურებიან პარტიის თბილისის და ქუთაისის საქალაქო კომიტეტებთან შექმნილი მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტები. 60 ათასამდე კომუნისტი დამოუკიდებლად მუშაობს რევოლუციური თეორიის დასაუფლებლად. მეტი რაოდენობით, ვიდრე წინათ, ეწყობა ლექციები და მოხსენებები, გაფართოვდა მათი თემატიკა და ამაღლდა ხარისხი. შარშან მარტო საქალაქო და რაიონული კომიტეტების ძალებით 20 ათასამდე ლექცია მოეწყო. გაძლიერდა დახმარება და კონტროლი პროპაგანდისტებისა და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი. მიუხედავად ყოველივე ამისა, კომუნისტების პოლიტიკური განათლების, პარტიული პროპაგანდის დაყენებაში სერიოზული ნაკლოვანებანია. ამ ნაკლოვანებებზე მიუთითა ამხანაგმა ჩარკვიანმა თავის საანგარიშო მოხსენებაში. ბრძოლა მათი გამოსწორებისათვის, პარტიული პროპაგანდის დარგში ყრილობის მიერ დასახული ღონისძიებების განუხრელი შესრულებისათვის ჩვენი პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

გაუმჯობესებას მოითხოვს პარტიული განათლების ქსელის მუშაობა. არც თუ ძვირფა შემთხვევები, როცა პოლიტსკოლებსა და წრეებში მეცადინეობა დაბალ იდეურ დონეზე ტარდება, დაბალია შეთვისების ხარისხი, რაც ძირითადად იმით უნდა აიხსნას, რომ ყველა წრე და პოლიტსკოლა როდია უზრუნველყოფილი საქმის მცოდნე, მომზადებული პროპაგანდისტებით. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ზოგჯერ სუსტია პირველადი პარტიული ორგანიზაციის, პარტიის რაიკომის დახმარება პროპაგანდისტებისადმი.

პარტიის რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ მტკიცე, ყოველდღიური კონტროლი დაწესონ პარტიული განათლების ქსელის მუშაობისადმი, უზრუნველყონ ყველა წრე და პოლიტსკოლა მომზადებული, უნარიანი პროპაგანდისტებით, ამასთან მარტო ამით არ დაკმაყოფილდნენ. პროპაგანდისტთა თეორიული დონის ამაღლებისათვის შეუნელებელი ზრუნვა, რაიკომებთან შექმნილი პროპაგანდისტთა სემინარების მეცადინეობის მაღალ იდეურ დონეზე დაყენება, ისე, რომ ისინი ნამდვილად ეხმარებოდნენ პროპაგანდისტებს დიდ და სერიოზულ მუშაობაში, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიკომების შეუნელებელი ყურადღების საგანი უნდა იყოს.

ყოველი პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი მოვალეა არ დაუშვას კომუნისტების მიერ მეცადინეობის უმიზეზოდ გაცდენა, ასეთი ფაქტი გახადოს მსჯელობის საგნად, მიაღწიოს იმას, რომ პარტიული განათლების ქსელში ჩაბმული ყველა კომუნისტი ნამდვილად მუშაობდეს თავისი პოლიტიკური ცოდნის დონის ასამაღლებლად.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის ძირითადი მეთოდი—წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა. ამ საქმეში კიდევ არის სერიოზული ნაკლი, ფორმალიზმი. ბევრი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მხრივ სუსტი დახმარებისა და კონტროლის გამო ზოგიერთი კომუნისტი, მათ შორის ხელმძღვანელი მუშაკი, რომელიც დამოუკიდებლად შემსწავლელთა სიაში ირიცხება, ნამდვილად არ მუშაობს თავის თავზე. შეუძლებელია შევურიგდეთ ასეთ მდგომარეობას. აუცილებელია გავაძლიეროთ კონტროლი და დახმარება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი, ხშირად ვისაუბროთ მათთან, ვიცნობდეთ მათი მეცადინეობის გეგმას, ვიცოდეთ რაზე მუშაობენ, რა დახმარებას მოითხოვენ ისინი.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ფართოდ გაჩაღებისათვის ჩვენ ყველა საშუალება მოგვეპოვება. საჭიროა მხოლოდ ამ საშუალებათა უნარიანი გამოყენება. ყოველთვის გვახსოვდეს ამხანაგ სტალინის მითითება: „აქსიომად უნდა მივიჩნიოთ, რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიანია მუშაობის შედეგები“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ამა წლის 10 მარტს ქალაქ მოსკოვში მოიწვიოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი მეხუთე სესია.

ახალი ჯიშის დაჯოჯვილი ხორბალი

ლენინგრადი. (საკდესი). აქ მიმდინარეობს მემცენარეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, რომელშიც ინფორმაცია მოისმინა არალასპირა ველებში (ინსტიტუტის საცდელი სადგური აზახეთის სსრ ქალაქ ჩელკარის მახლობლად) დატოტვილი ხორბლის გახარების ძვირფასი ცდების შესახებ.

ამ ცდების ხელმძღვანელმა — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. პონომარენკომ ცდები დაიწყო ორი წლის წინათ. მან ლენინგრადიდან ჩაიტანა თესლი, რომელშიც იყო კახური, ყირიმული და აზერბაიჯანული ხორბლის ნიმუშები. პირველი ცდები 1947 წლის გაზაფხულზე მოახდინეს.

შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. მიღებულია ახალი ჯიშის დატოტვილი ხორბალი. თვითეულმა ღერომ 3-4 თავთავი გაიკეთა. ჰექტარზე გაანგარიშებით მოსავალმა 37,5 ცენტნერი შეადგინა. სელექციონერთა ამ წარმატების შედეგად მიმდინარე წელსვე შესაძლებელი გახდა დატოტვილი ხორბლის სათესლე ფონდი დამზადებულ იქნას უფრო ფართო მასშტაბით.

ყოველ კოლმეურნეობას კლუბი უნდა ჰქონდეს

კურსკი. (საკდესი). მედვენკის რაიონის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს წელს ყოველ კოლმეურნეობაში საკუთარი კლუბი აგონ. უკვე შენდება 15 კლუბის შენობა.

ამ თაოსნობამ ოლქში მხურვალე მხარდაჭერა პოვა. კრასნი იარუგის რაიონის მიწის მუშაკები 45 კლუბს იშენებენ. ტომაროვკის რაიონის კოლმეურნეობები „ოქტომბერი“, „თავისუფლების სხივი“, „წითელი მებრძოლი“ ტიპური პროექტების მიხედვით აშენებენ კლუბებს. ყოველ კლუბს ექნება მაყურებელთა 200-ადგილიანი დარბაზი, სათავსი ბიბლიოთეკისათვის, ოთახები წრეებში მეცადინეობისათვის.

წელს ოლქში სულ ათასამდე სასოფლო კლუბი აშენდება.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

დიდი სიხარულის გრძნობით მოგახსენებთ, რომ ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპრჰესის პირველი რიგი, რომელიც დნეპრმშენის კოლექტივმა აღადგინა, მტკიცედ უზრუნველყოფს დნეპრისპირა მხარისა და დონბასის მრეწველობის ელექტრომომარაგებას და მან უკვე გამოიმუშავა დიდძალი იაფი ჰიდროენერგია, რომელმაც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის 1.900 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი გაათავისუფლა.

ვასრულებთ რა თქვენს დავალებას საბჭოთა ხალხის მშვენებისა და სიამაყის—დნეპრის ჰიდროელექტროსადგურის სრული აღორძინების შესახებ, ჩვენ 1948 წლის განმავლობაში ვშრომობდით მეორე რიგის უსწრაფესი აღდგენისათვის.

მოგახსენებთ, რომ სტალინის სახელობის ლენინგრადის ლითონის ქარხნის, კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილას“ და სტალინის სახელობის კრამატორსკის ქარხნის მიერ დამზადებული მძლავრი ჰიდროაგრეგატი დნეპრმშენის კოლექტივმა მოკლე ვადებში დაამონტაჟა და 1948 წლის 31 დეკემბერს, ახალი 1949 წლის წინადღეს, ამ აგრეგატმა სამრეწველო დატვირთვა მიიღო.

აგრეგატის მუშაობის მაჩვენებლები გაცილებით უკეთესია, ვიდრე იმ აგრეგატებისა, რომლებიც ამერიკულმა ფირმებმა მოგვაწოდეს.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით და მისი ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისადმი მისწრაფებით გამსჭვალულნი, ვალდებულებას ვკისრულობთ 1949 წელს გავადიდოთ ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპრესის სიმძლავრე და ავამუშაოთ ჩვენს ქვეყანაში დამზადებული კიდევ ორი აგრეგატი.

გისურვებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჯანმრთელობას და მრავალ წელს სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ და საბჭოთა ხალხის საბედნიეროდ.

დნეპრმშენის უფროსი ლოგინოვი.
უკრაინის კ. პ. (ბ) ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტის მდივანი ენიუტინი.
დნეპრმშენის მთავარი ინჟინერი კანდალოვი.
უკრაინის კ. პ. (ბ) დნეპრმშენის რაიკომის მდივანი კუზემინი.
დნეპრჰესის დირექტორი ივანოვი.
ჰიდრომონტაჟის დნეპრის სამმართველოს უფროსი მელნიჩენკო.
სააღმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე სტუკალო.
უკრაინის ალკკ დნეპრმშენის რაიკომის მდივანი ნიკულინი.

ზაპოროჟიე, დნეპრმშენი

ამხანაგებს ლოგინოვს, ენიუტინს, კანდალოვს, კუზემინს, ივანოვს, მელნიჩენკოს, სტუკალოს, ნიკულინს

ვულოცავ დნეპრმშენის მშენებლებისა და მემონტაჟეების კოლექტივს მიღწეულ გამარჯვებას — დნეპრის ჰიდროელექტროსადგურის მეოთხე მძლავრი აგრეგატის ამუშავებას, რომელიც დამზადებულია საბჭოთა ქარხნების მიერ.

დარწმუნებული ვარ, რომ 1949 წელს დნეპრმშენის კოლექტივი აამუშავებს ჩვენს ქვეყანაში დამზადებულ ასეთივე სიმძლავრის კიდევ ორ აგრეგატს და პირველ აგრეგატს გაზაფხულის წყალდიდობის დაწყებისათვის.

გისურვებთ წარმატებას თქვენს მუშაობაში.

ი. სტალინი

ჩვენს რესპუბლიკაში

ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა. სურათზე: სტახანოველი მარო ჩიხლაძე, რომელმაც შეასრულა შვიდი წლის საწარმოო გეგმა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

გაღაჭრით გავაძლიეროთ საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადების ზემპი

კოლმეურნეებმა გაღიდებული ვალდებულებები იკისრეს

წითელწყაროს. (სპეც. კორ.). კოლმეურნეობებში გულდასმით იხილავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ“ და კისრულობენ ახალ ვალდებულებებს ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის.

თვითეულ კოლმეურნეობასა და ბრიგადაში სახავენ ღონისძიებებს, რათა წელს მოიყვანონ უხვი მოსავალი. დიდი ყურადღება ეთმობა სასუქების გატანის საკითხს. თვითეულ ბრიგადას მიცემული აქვს დავალება მინდვრად გაიტანოს 50.000 ტონა ნაკელი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 25.000-სა. სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელ არბოშიკში“ და ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ამ დადგენილების განხილვასთან დაკავშირებით გაღიდებული ვალდებულებები იკისრეს.

კოლმეურნეობა „წითელმა არბოშიკმა“ ძინდვრად უკვე გაიტანა 900 ტონა ნაკელი. ყველა სახის თესლი მზადა აქვთ. ძალე დაიწყებენ საადრეო ხვნას. კოლმეურნეობებში გაძლიერდა საწარმოო გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის ტემპი.

აღნიშნულ კოლმეურნეობებში ბრიგადები და რგოლები დაკომპლექტებულია. თვითეულმა მათგანმა იცის, რა სახის კულტურებია მათთვის მიჩენილი და რა სამუშაო უნდა შესრულდეს. კოლმეურნეობებში მთლიანად დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი, მუშა პირუტყვი გაყაყანილია გაძლიერებულ კვებაზე, გაზაფხულის სამუშაოებზე ყოველდღიურად იმუშავებს 200 გუთანი.

კოლმეურნეობებმა იკისრეს წელს აითვისონ 1.500 ჰექტარი ახალი ფართობი, გაზაფხულზე დათესონ 300 ჰექტარი მრავალწლიანი ბალახი ესპარცეტი, ხოლო შეთესვით—700 ჰექტარი. შარშანდელთან შედარებით მრავალწლიანი ბალახების თესვის ფართობი 1.000 ჰექტარით გაიზრდება.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. სურათზე: სტახანოველი მემანქანეები (მარცხნიდან მარჯვნივ) ი. თედიაშვილი, ვ. ქემაშვილი და ვ. ვოიცეხოვსკი ამოწმებენ ორთქლის ტურბინის საკისრის გამართულობას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

სოხუმის მრეწველობის იანვრის მუშაობის შედეგები

სოხუმი. (საკ. კორ.). სოხუმის მრეწველობამ იანვრის გეგმა 102,4 პროცენტით შეასრულა, საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა—114,5 პროცენტით, ხოლო საერეწაო კოოპერაციამ 102,2 პროცენტით.

დაწინაურდა საკონსერვო ქარხანა, რომელმაც თვიური დავალება 163,6 პროცენტით გაანაღდა, ხორცის კომბინატი—122,7, საკონდიტრო ფაბრიკა—114,4 და თამბაქოს ფაბრიკა — 108,4 პროცენტით.

მოწინავე სახელოსნო

ზუგდიდი. (სპეც. კორ.). საქართველოს ჩაის ტრესტის ზუგდიდის მექანიკურმა სახელოსნომ (დირექტორი კ. კალატოზიშვილი) გასული წლის საწარმოო გეგმა 120 პროცენტით შეასრულა. სახელოსნოს კოლექტივმა წარმატებით დაიწყო ახალი სამეურნეო წელი — იანვრის გეგმა შეასრულა 130 პროცენტით.

მექანიკური სახელოსნო ემსახურება დასავლეთის ზონის 15 ჩაის ფაბრიკას. აქ მზადდება ჩაის ფაბრიკების მანქანადანადგარები, წარმოებს სათადარიგო ნაწილების დამზადება და შეკეთება.

მოეწყო რენგგენის კაბინეტი

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრში მოეწყო რენტგენის კაბინეტი, რომელიც შეუფერხებლად მუშაობს. კაბინეტს გამოცდილი ექიმი გ. მეძმარიაშვილი ხელმძღვანელობს.

გორელთა პასუხი

გორი. (საკ. კორ.). პარტიისა და მთავრობის ახალმა დადგენილებამ ერთსულოვანი გამოხმაურება პოვა რაიონის კოლმეურნეობებში. აგიტატორები აცნობენ ამ დადგენილების შინაარსს კოლმეურნეებს. სოფელ კარალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ვაზაგაშვილმა დადგენილების გაცნობის შემდეგ განაცხადა:

— ამ დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს გაზაფხულის თესვისათვის სანიმუშო მომზადებისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში. პირობას ვდებთ წელს ერთიორად მეტი მოსავალი მოვიყვანოთ, ვიდრე შარშან, აგროტექნიკურ ვადებში დავამთავროთ სიმინდის თესვა 420 ჰექტარზე.

დადგენილების პასუხად სოფელ თორტიზის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის ორდენოსანმა ბრიგადირმა ი. იოსებიძემ იკისრა: მოკლე ვადაში დაამთავროს საგაზაფხულო ხვნა-თესვა და საგრძნობლად გაადიდოს ყველა კულტურის მოსავლიანობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას გულდასმით გაეცნენ და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს სოფელ ქვეშის, ტყვიავის, ხიდისთავის, ტინიხიდის, გარეჯვრისა და სხვა სოფლის კოლმეურნეობებმა.

ითვისებენ ახალ მიწებს

აბაშა. (სპეც. კორ.). რაიონში წარმატებით მუშაობენ საგაზაფხულო თესვისათვის. კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან საჭირო კონდიციური თესლით. ვადამდე დაამთავრეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი. გაჩაღდა კოლმეურნეობათა წლიური საწარმოო გეგმის და ბრიგადებისა და რგოლებისათვის დავალებათა შედგენა. წელს დამატებით აითვისებენ 1.000 ჰექტარ ყამირ მიწას. კოლმეურნეების ძალებით მდინარე ტეხურიდან და ცხენისწყლიდან გაიყვანენ სარწყავ არხს და უზრუნველყოფენ 700 ჰექტარი მიწის მორწყვას.

კოლმეურნეები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას გაზაფხულისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. სოფელ ნაესაკოვოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ამ დადგენილების გაცნობის შემდეგ სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ბრიგადირმა ელპიტე არველაძემ განაცხადა:

— სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ჩვენი პარტიის ამ ზრუნვას ახალ წარმატებათა მოპოვებით ვუპასუხებთ. ჩემი ბრიგადა ყოველმხრივ მზად ხვდება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს. პირობას ვიძლევი 50 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოვიყვანო 60 ცენტნერი სიმინდი.

კოლმეურნეობამ იკისრა: წელს 60 ჰექტარ ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 100 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 350 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე — 40 ცენტნერი. სოფელ ქოლობნის კოლმეურნეობამ იკისრა წელს აითვისოს 120 ჰექტარი ყამირი მიწა და ამ ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიყვანოს 80 ცენტნერი სიმინდი, ხოლო დანარჩენ 300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—30 ცენტნერი.

აბაშელები ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

პოლიტწრეების პროპაგანდისტთა მოსამზადებელი კურსები

ახალციხე. (საკ. კორ.). საქართველოს ალკკ ახალციხის რაიკომთან წელს მუშაობას შეუდგა პოლიტწრეების პროპაგანდისტთა მოსამზადებელი კურსები. კურსებზე წარმოებისაგან მოუწყვეტლად მეცადინეობენ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები და კომკავშირელი აქტივისტები, სულ 22 მსმენელი. კურსები უზრუნველყოფილია კვალიფიციური ლექტორებით, ბინით, სასწავლო ნივთებით.

ბ. გვიჩიას წარმატება

ცხაკაია. (საკ. კორ.). სოფელ თეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბაგრატ გვიჩიამ გასულ წელს 12,5 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 72,22 ცენტნერი სიმინდი, ხოლო პირადად მიჩენილი 1 ჰექტარზე 116 ცენტნერი.

გვიჩიას რგოლი წარმატებით ემზადება გაზაფხულისათვის. უკვე მოხნული აქვს 9 ჰექტარი მიწა. უახლოეს დღეებში დაიწყება 3 ჰექტარი ყამირის ხვნა.

ცაცხვი, კაკაღი და აკაცია გამწვანებისათვის

საგარეჯო. (სპეც. კორ.). გასულ წელს რაიონში გამწვანებისათვის 49.500 ძირი ხე დარგეს, მოაწყეს 2,4 ჰექტარი სანერგე, გააშენეს 30 ჰექტარი ტყე. მომდინარე წლისათვის გასაშენებლად 54 ჰექტარი ნიადაგია მომზადებული. გათვალისწინებულია 80.000 ძირი ჟაკლის, ცაცხვისა და აკაციის დარგვა. გარდა ამისა, ასეულ ჰექტარზე მოეწყობა ტყეების ბუნებრივი განახლება.

პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა დასახმარებლად

როგორ ჩავაგაროთ მეცადინეობა თემაზე „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო“

თემაზე—„საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო“ მეცადინეობის ძირითადი მიზანია დაეხმაროს პოლიტსკოლების მსმენელებს უფრო ღრმად გაიგონ და შეითვისონ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ბუნება და წყობა. მსმენელებს უნდა განემარტოს საბჭოთა სახელმწიფოს პრინციპული განსხვავება ბურჟუაზიული სახელმწიფოებისაგან. მსმენელებმა უნდა მიიღონ ძირითადი ცოდნა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ფაზებისა და ფუნქციების შესახებ, სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურის შესახებ, საბჭოთა დემოკრატიის შესახებ. ყოველი კაპიტალისტური სახელმწიფო წყობილების წინაშე საბჭოთა სახელმწიფო წყობილების უპირატესობის იდეა მთავარი იდეაა ამ თემაზე ყველა მეცადინეობისათვის. რასაკვირველია, უმჯობესია ეს იდეა გასწავლოთ არა ზოგადი ფორმით, არამედ მკაფიო ფაქტებით, დამაჯერებელი შედარებებით.

* * *

პირველი მეცადინეობა მიეძღვნება თავს „ბურჟუაზიული სახელმწიფო და ბურჟუაზიული დემოკრატია“. იგი იწყება პროპაგანდისტის საუბრით.

საუბრის გეგმაში საჭირო არ არის ბევრი საკითხის შეტანა. ამ შემთხვევაში შეიძლება დავჯერდეთ ასეთ საკითხებს: ექსპლოატატორული სახელმწიფოების წარმოშობა და კლასობრივი არსი; ბურჟუაზიის დიქტატურა ბურჟუაზიული დემოკრატიის პირობებში; ბურჟუაზიული დემოკრატია და ფაშიზმი.

როცა სახელმწიფოს წარმოშობაზე ვლაპარაკობთ, საჭიროა მოკლედ ვუჩვენოთ, თუ როგორ წარმოიშვა, ერთიმეორის მოპირდაპირე კლასებად საზოგადოების დაყოფასთან დაკავშირებით, სახელმწიფო იმისათვის, რომ ექსპლოატატორულმა უმცირესობამ მორჩილებაში იყოლიოს მოსახლეობის ექსპლოატირებული უმრავლესობა. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრივი ბუნების განმარტებას, რომელიც უცვლელი რჩება მისი ყოველი ფორმის დროს. კარგი იქნება მოვიყვანოთ მაგალითები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოების ნამდვილი ბატონ-პატრონები მონოპოლისტური გაერთიანებანი არიან.

როცა გამოარკვევს, თუ რას წარმოადგენს ბურჟუაზიული დიქტატურა, პროპაგანდისტი ცხადყოფს, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ნამდვილი დემოკრატია არ არის და რც შეიძლება იყოს და რომ ბურჟუაზიული დემოკრატია მხოლოდ ფორმაა, რომლითაც ბურჟუაზია მოსავს თავის დიქტატურას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მსმენელებმა გაიგონ, თუ რატომ ნიღბავს ბურჟუაზია თავის პოლიტიკურ ბატონობას და როგორ იყენებს იგი თავისი ინტერესებისათვის ეგრეთ წოდებულ დემოკრატიულ თავისუფლებებს.

აქ შეიძლება მოვიყვანოთ უაღრესად ვრცელი ფაქტიური მასალა. შეიძლება, მაგალითად, დავიმოწმოთ ბურჟუაზიული სახელმწიფოების „სახალხო“ წარმომადგენლობათა სოციალური შემადგენლობა. ინგლისის ლორდთა პალატის შემადგენლობაში 1943 წელს იყო 20 ჰერცოგი, 28 მარკიზი, 116 გრაფი, 478 ბარონი. შეფის რუსეთის მესამე სახელმწიფო სათათბიროში მიმამულეები შეადგენდნენ 38,2 პროცენტს, ვაჭრები და მეწარმეები—7 პროცენტს. კულაკები—15,5 პროცენტს, ადვოკატები და მოხელეები—25,7 პროცენტს, სამღვდელეები—10,8 პროცენტს, მუშები—2,5 პროცენტს შეიძლება ვუჩვენოთ, რომ ის უფლებები. რომლებიც ფორმალურად ენიჭებათ მშრომელებს ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციებით, ფაქტურად არარაობად იქცევა ქონებრივი ნაშთის, სქესის, ასაკის, სარწმუნოების, ეროვნული მოტივების, განათლების, ბინადრობის მიხედვით შემოღებული შეზღუდვებით. მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის არჩევნებში 1946 წელს ამომრჩეველთა მხოლოდ 39 პროცენტი მონაწილეობდა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის უკანასკნელ არჩევნებში 1948 წელს 95 მილიონი კაციდან, რომელთაც 21 წლის ასაკს მიაღწიეს და, მაშასადამე, ხმის უფლება ჰქონდათ, კენჭისყრაში მონაწილეობდა მხოლოდ 48 მილიონი, ესე იგი ამომრჩეველთა მხოლოდ ნახევარი.

გაზეთებსა და ჟურნალებში შეიძლება მოვნახოთ მასალები იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს ბურჟუაზია მოსყიდვასა და ძალადობას.

საუბრის ეს ნაწილი უნდა შეჯამდეს ლენინის დასკვნით იმის შესახებ, რომ „ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა არის მხოლოდ მანქანა ბურჟუაზის მიერ მუშათა კლასის, ერთი მუჭა კაპიტალისტების მიერ მშრომელი მასების ჩასაბრუნებად“ (თხზ., ტ. XXIV, გვ. 8).

შემდეგ პროპაგანდისტი განმარტავს, თუ როგორ უკაფავს ბურჟუაზიული დემოკრატია გზას ფაშიზმს. როცა ბურჟუაზიას აღარ ძალუძს დიქტატურა შეინარჩუნოს დემოკრატიის საშუალებით, იგი ცვლის დიქტატურის ფორმას, გადადის ისეთ დიქტატურაზე, რომელსაც არ ფარავს არავითარი დემოკრატიული ბრით, და რომელსაც ახორციელებს შიშველი და აშკარა ძალადობით, მასობრივი მკვლელობითა და დახვრეტით. სწორედ ეს არის ფაშიზმი. კონკრეტული მაგალითებით უნდა ვუჩვენოთ, თუ როგორ უჭერენ ფაქტიურად მხარს ფაშისტურ ელემენტებს თავიანთ ქვეყნებში და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში ამერიკელი იმპერიალისტები ინგლისელ იმპერიალისტებთან ერთად.

პროპაგანდისტი საუბარს ამთავრებს დასკვნით: იქ, სადაც ხელისუფლების სათავეში კაპიტალისტები არიან, არ შეიძლება იყოს არც თავისუფლება, არც დემოკრატია. კაპიტალიზმი არის სიღატაკე, უუფლებობა, ეროვნული ჩაგვრა.

შემდგომ ცოცხალ საუბარში უნდა გამოირკვეს, თუ რა ტიპის ექსპლოატატორულ სახელმწიფოებს იცნობენ მსმენელები. მაგრამ საუბარში მთავარი უნდა იყოს იმის გარკვევა, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო. ამასთან დაკავშირებით ძალიან კარგი იქნება პრესის მასალების მოყვანა. პოლიტსკოლამ უნდა მიაჩვიოს მსმენელები გაზეთების სისტემატურ კითხვას, დაეხმაროს მათ უფრო ღრმად გაიგონ ის ცნობები, რომლებსაც გაზეთებში კითხულობენ.

პროპაგანდისტს შეუძლია დააყენოს ასეთი კითხვები: რა არის ბურჟუაზიული დემოკრატია და ვის ეკუთვნის ძალაუფლება ბურჟუაზიულ სახელმწიფოში? როგორ ზღუდავს ბურჟუაზია მშრომელთა საარჩევნო უფლებებს? როგორ ატყუებს ბურჟუაზია მშრომელებს დემოკრატიული ლოზუნგებით თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ? როგორ უკაფავს გზას ფაშიზმს თანამედროვე პირობებში ბურჟუაზიული დემოკრატია?

ამ საკითხების გარჩევისას უნდა მივაღწიოთ აქტიურ მსჯელობას, რომლის დროსაც გამოჩნდება, თუ რამდენად კარგად შეითვისეს პოლიტსკოლის მსმენელებმა ბრიშურის მასალები და რამდენად შეუძლიათ შეავსონ იგი გაზეთებიდან, რადიოგადაცემებიდან აღებული ფაქტებით.

* * *

შემდეგი მეცადინეობის საუბრის გეგმა თემაზე: „რა არის საბჭოთა სახელმწიფო“ აგრეთვე არ უნდა გადაიტვირთოს საკითხებით. სავსებით საკმარისია ასეთი ძირითადი საკითხები: როგორ წარმოიშვა საბჭოთა სახელმწიფო; პროლეტარიატის დიქტატურა და მისი ძირეული განსხვავება ბურჟუაზიული დიქტატურისაგან; საბჭოები როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა და სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძველი; საბჭოთა სახელმწიფოს განვითარება და განმტკიცება და მისი როლი დიდ სამამულო ომსა და ომის შემდგომ მშენებლობაში.

თავის საუბარს პროპაგანდისტი იწყებს იმით, რომ საბჭოთა სახელმწიფო შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ ბურჟუაზიის ძალაუფლების ძალადატანებით დამხობის, ძველი სახელმწიფო მანქანის დამსხვრევისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შედეგად.

შემდეგ პროპაგანდისტმა უნდა ილაპარაკოს საბჭოთა სახელმწიფოს კლასობრივ არსზე და ცხადყოს, თუ რაში მდგომარეობს პროლეტარიატის დიქტატურის ძირეული განსხვავება ბურჟუაზიული დიქტატურისაგან, განმარტოს მუშათა კლასის როგორც ყველა მშრომელთა ხელმძღვანელის ისტორიული როლი კაპიტალიზმის მოსპობისა და სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლაში. მან უნდა განმარტოს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით მუშათა კლასისა და გლეხობის მშრომელთ მასების კლასობრივი კავშირის განსაკუთრებული ფორმა.

შემდეგ პროპაგანდისტი განმარტავს კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალის როლს.

შემდეგ პოლიტსკოლის ხელმძღვანელი ახასიათებს საბჭოების, როგორც დემოკრატიის უმაღლესი ფორმის ბუნებას.

საბჭოები უშუალოდ წარმოადგენენ ჩვენს ხალხს, განასახიერებენ მის ნებას და გამოხატავენ მის ინტერესებს. საბჭოები მშრომელთა ნამდვილი ხელისუფლებაა, ყველაზე მასობრივი სახელმწიფო ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას. საუბრის დროს სასარგებლოა გამოვიყენოთ თვალსაჩინო ხელსაწყოები, რომლებიც გვიჩვენებენ სსრ კავშირში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების აგების სისტემას, და ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მშრომელთა მიერ არჩეული საბჭოები განახორციელებენ მთელ სახელმწიფო ხელისუფლებას თავიდან ბოლომდე.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებისა და განმტკიცების საკითხს მსმენელები იცნობენ წინა მეცადინეობებიდან. მათ უკვე შეისწავლეს, თუ როგორ დაიცვა თავი საბჭოთა სახელმწიფომ გაიფთრებულ ბრძოლაში სამოქალაქო ომის დროს, როგორ განახორციელა საბჭოთა სახელმწიფომ, ამსხვრევდა რა კლასობრივი მტრების წინააღმდეგობას, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკა. როგორ მოსპო საბჭოთა სახელმწიფომ კოლექტივიზაციის საფუძველზე უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასი—კულაკობა და მიაღწია სოციალისტური წყობილების გამარჯვებას და საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შექმნას. მოგონებს რა ყოველივე ამას, პროპაგანდისტმა უნდა ილაპარაკოს მეორე ფაზაზე საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებაში და ამასთან დაკავშირებთან მისი ფუნქციების შეცვლაზე. პროპაგანდისტმა უნდა ილაპარაკოს ამხანაგ სტალინის როლზე სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ მთლიანი და დამთავრებული მოძღვრების შექმნაში, იმ დასკვნის მნიშვნელობაზე, რომელიც გაკეთა ამხანაგმა სტალინმა, რომ სახელმწიფო ჩვენში დარჩება კომუნიზმის დროსაც, თუ იმ დროისათვის კიდევ იარსებებს კაპიტალისტური გარემოცვა.

დასასრულ პროპაგანდისტი მსმენელებს მოაგონებს საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეობას სამამულო ომის პირობებში.

მსმენელებთან საუბარში შეიძლება დავაყენოთ შემდეგი კითხვები: როგორ წარმოიშვა პროლეტარიატის დიქტატურა და რაში მდგომარეობს მისი ძირეული განსხვავება ბურჟუაზიული დიქტატურისაგან? როგორია პროლეტარიატის დიქტატურის მთავარი ამოცანები? მსმენელებს უნდა შეეძლოთ ილაპარაკონ საბჭოების როგორც სახელმწიფო ორგანიზაციის ახალი ფორმის მნიშვნელობაზე, იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარება და განმტკიცება და როგორ იცვლებოდა მისი ფუნქციები. დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა სახელმწიფოს როლის საკითხი მსმენელებს შეუძლიათ განავითარონ თავიანთი პირადი გამოცდილებისა და დაკვირვების მასალებით. შემდეგ საუბარი უნდა გადაშალოს იმ საკითხის გარშემო, თუ როგორია საბჭოთა სახელმწიფოს ამოცანები ომისშემდგომ პერიოდში. პარტიისა და მთავრობის ისტორიული დადგენილება მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებისა და მოწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის შესახებ ცხადყოფს, თუ რა გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტა შეუძლია ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს. შეიძლება ექვი არ ვიქონიოთ, რომ მსმენელები მოიყვანენ მკაფიო მაგალითებს, რომლებიც დაგვანახვებენ, თუ როგორ წარმართავს სახელმწიფო ჩვენს ქვეყნის კომუნიზმის გზით. საუბარში აგრეთვე უნდა აღინიშნოს საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკის განუყრელი კავშირი საერთაშორისო ასპარეზზე მის თანმიმდევრულ მებრძოლთან ახალი იმპერიალისტური ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისათვის.

* * *

ძირითადი საკითხები საუბრისა თემაზე „საბჭოთა ხელისუფლება მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული ხელისუფლებაა“ შეიძლება იყოს შემდეგი: ბურჟუაზიული დემოკრატიისა და საბჭოთა დემოკრატიის ძირეული წინააღმდეგობა; სტალინური კონსტიტუცია მოქალაქეთა უფლება-მოვალეობის შესახებ; სსრ კავშირის საარჩევნო სისტემა.

საბჭოებს — მშრომელთა ხელისუფლების ორგანოებს—კონტროლს უწევს ხალხი, ვინაიდან ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც არჩეული არიან საბჭოებში, პასუხისმგებელი არიან თავიანთი ამომრჩევლების წინაშე. დეპუტატი ხალხის მსახურია, ამბობს ამხანაგი სტალინი. აგრეთვე უნდა გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირში ხალხს ეკუთვნის არა მარტო ძალაუფლება, არამედ ამ ძალაუფლების მატერიალური საფუძველიც—საზოგადოების მთელი ეკონომიური რესურსები, წარმოების მთელი იარაღები და საშუალებანი, რომელთა განვითარება დაქვემდებარებულია მთელი საზოგადოების ინტერესებისადმი.

სოციალისტური დემოკრატია იმითაც გამოიხატება, რომ ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხი გადაწყვეტილია ხალხთა ნამდვილი თანასწორობისა და სუვერენობის განხორციელების საფუძველზე.

თემაცა ბურჟუაზიული დემოკრატიის ბუნების საკითხი გარჩეული იყო წინა მეცადინეობაზე, პროპაგანდისტს შეუძლია არ მოერიდოს გამეორებას და საბჭოთა დემოკრატიის ცალკეულ მხარეთა გარჩევისას გააკეთოს შედარებანი იმასთან, რაც კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ხდება.

ასეთი შედარებანი განსაკუთრებით ფართოდ უნდა გამოვიყენოთ იმის გასმარტებისას, თუ რა უფლებებს ანიჭებს სტალინური კონსტიტუცია საბჭოთა მოქალაქეებს.

პროპაგანდისტმა ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ იმისაგან განსხვავებით, რაც ბურჟუაზიულ ქვეყნებშია, საბჭოთა მოქალაქეების უფლებები არა მარტო დეკლარირებულია, არამედ გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.

საუბარს სსრ კავშირის მოქალაქეთა დიად უფლებებზე არ შეიძლება შევზღუდოთ მათი უბრალო ჩამოთვლით. პროპაგანდისტს არ გაუძნელდება შეარჩიოს მკაფიო მაგალითები, რომლებიც ყველაზე გასაგები იქნება ამ პოლიტსკოლის მსმენელებისათვის.

სოციალისტური დემოკრატიზმის ხასიათს პროპაგანდისტი განმარტავს აგრეთვე საბჭოთა საარჩევნო უფლების თავისებურებებით. ეს უფლება მართლაც საყოველთაოა, არ არის შეკვეცილი არავითარი შეზღუდვით, ნამდვილად თანასწორი და პირდაპირია.

საბჭოთა მოქალაქეების მიერ საარჩევნო უფლებების გამოყენება გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ, რომელიც კისრულობს არჩევნების მთელ ხარჯებს და ძღევა იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც კანდიდატები წამოაყენეს, შენობებს კრებებისათვის, ქაღალდსა და სტამბებს, აგრეთვე ამარაგებს სხვა საშუალებებით, რაც საჭიროა წინასაარჩევნო აგიტაციისათვის.

საუბარში პროპაგანდისტი უნდა შეჩერდეს საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების წესზე და ფაქტი კენჭისყრით პირდაპირი არჩევნების მნიშვნელობაზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა საარჩევნო უფლება უზრუნველყოფს არა მარტო მთელი ხალხის მონაწილეობას დეპუტატთა არჩევნებში, არამედ დეპუტატთა ანგარიშგებასაც, მათ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე.

მსმენელებთან საუბარში უნდა გაირჩეს ასეთი საკითხები: რით მეძავნდება საბჭოთა ხელისუფლების სახალხო ხასიათი? რა უფლებები და პოლიტიკური თავისუფლებანი მიანიჭა საბჭოთა ხელისუფლებამ სსრ კავშირის მშრომელთ, როგორ არის უზრუნველყოფილი მშრომელთ უფლებები ჩვენს ქვეყანაში?

პოლიტსკოლის ხელმძღვანელმა ისე უნდა გაშალოს საუბარი, რომ მსმენელებმა გარემო ცხოვრების მაგალითებით ცხადყონ, თუ როგორ განუხრელად სრულდება ჩვენს ქვეყანაში შრომის უფლება, დასვენების უფლება, განათლების უფლება, მოხუცებულობაში, ავადმყოფობაში, შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში უზრუნველყოფის უფლება, პირადი საკუთრების უფლება, სიტყვის, პრესის, კრებების, ქუჩაში მსვლელობის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, ბინის ხელშეუხებლობა, მიმოწერის საიდუმლოება, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა მიუხედავად სქესისა, რასისა და ეროვნებისა. შემდეგ საუბარში ნაჩვენები უნდა იქნას მნიშვნელობა მშრომელთა უფლებისა გაერთიანდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში: პროფესიულ კავშირებში, სასპორტო, თავდაცვითს, კულტურულ, ტექნიკურ და მეცნიერულ საზოგადოებებში, კოოპერაციულ გაერთიანებებსა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებში. ყურადღება უნდა მიექცეს კონსტიტუციის 126-ე მუხლის მნიშვნელობას, რომელშიც ნათქვამია, რომ „ყველაზე უფრო აქტიური და შეგნებული მოქალაქენი მუშათა კლასის რიგებიდან და მშრომელთა სხვა ფენებიდან ერთიანდებიან საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა), რომელიც არის მშრომელთა მოწინავე რაზმი მათს ბრძოლაში სოციალისტური წყობილების განტკიცებისა და განვითარებისათვის და წარმოადგენს ხელმძღვანელ ბირთვს მშრომელთა ყველა, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისას“.

მოქალაქეთა უფლებების საკითხის ამოწურვის შემდეგ პროპაგანდისტი ამოწმებს, თუ როგორ შეითვისეს მშრომელებმა საბჭოთა საარჩევნო უფლების ძირითადი დებულებანი. საუბარი დამთავრდება საბჭოთა მოქალაქეების ძირითად ვალდებულებათა გარჩევით.

* * *

მეოთხე მეცადინეობა მიეძღვნება თემას „სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანობები“.

პროპაგანდისტმა უნდა ილაპარაკოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოზე, როგორც უმაღლეს ორგანოზე, რომელიც თავმოყრილია მთელი საკანონმდებლო ხელისუფლება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გამოსცემს კანონებს, ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს, ცვლილებებს შეაქვს კონსტიტუციაში. ყველა ამ დებულებას პროპაგანდისტი განმარტავს კონკრეტული მაგალითებით უმაღლესი საბჭოს საქმიანობიდან.

პროპაგანდისტმა მსმენელებს უნდა მოაგონოს ცნობები ბურჟუაზიული პარლამენტების შემადგენლობის შესახებ და შეადაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობას. სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლეს საბჭოში არჩეულია: კავშირის საბჭოში—მუშები 42 პროცენტი, გლეხები 22 პროცენტი. ეროვნებათა საბჭოში წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის 49 ეროვნება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის 277 ქალია. პროპაგანდისტი ასახელებს ფართოდ ცნობილ დეპუტატებს და ცხადყოფს, რომ სსრ კავშირში სახელმწიფო სამუშაოზე დაწინაურდნენ ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები მუშებიდან, გლეხებიდან და ინტელიგენციიდან.

მსმენელებს ვრცლად უნდა განემარტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორპალატიანი სტრუქტურის ღრმა აზრი და ხაზგასმით აღინიშნოს საბჭოთა სისტემის პრინციპული განსხვავება კაპიტალისტური სახელმწიფოების ორპალატიანი სისტემისაგან.

პროპაგანდისტმა უნდა ილაპარაკოს, თუ როგორ იქმნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და როგორია მისი ფუნქციები. იგი მსმენელთა ყურადღებას მიიპყრობს იმაზე, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, კოლეგიალური პრეზიდენტია და ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

შემდეგ პოლიტსკოლის ხელმძღვანელი განმარტავს საბჭოთა მთავრობის შექმნის წესს, მის როგორც საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს ფუნქციებს. პროპაგანდისტი აგრეთვე განმარტავს საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების თავისებურებებს და ლაპარაკობს იმაზე, თუ მეურნეობისა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის რა დარგებს განაგებენ რესპუბლიკური სამინისტროები.

პროპაგანდისტმა უნდა ილაპარაკოს ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შინაარსზე და ხაზგასმით აღნიშნოს მათი ფართო უფლებანი როგორც სახელმწიფო მართვა-გამგეობაში, ისე კულტურული და სამეურნეო ცხოვრების ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში. უაღრესად საჭიროა იმის ჩვენება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოების ძუმაობაში მშრომელთა უფართოესი მასების ჩაბმას. ეს დებულებანი შეიძლება დავასურათოთ ადგილობრივი ცხოვრების მაგალითებით.

უნდა აღინიშნოს საბჭოთა სასამართლოს როლი, როგორც ისეთი ორგანისი, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცება. აგრეთვე უნდა აღინიშნოს სახალხო სასამართლოების არჩევნების დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. საბჭოთა სასამართლოს ნამდვილი ხალხური ხასიათი შეიძლება ვუჩვენოთ მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა შემადგენლობით, რომელთა ბიოგრაფიებს პოლიტსკოლის მსმენელები საარჩევნო კამპანიის დროს გაეცნენ.

პროპაგანდისტმა უნდა გააშუქოს პროკურატურის, როგორც სოციალისტური კანონიერების გუშაგის როლის საკითხი და ილაპარაკოს იმაზე, თუ როგორ ყალიბდება პროკურატურის ორგანოები და რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერთიან კანონიერებას მთელ საბჭოთა კავშირში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო დახმარება პროკურატურის, ისევე როგორც საბჭოთა ხელისუფლების ყველა სხვა ორგანოს წარმატებითი მუშაობის გადამწყვეტი საწინდარია.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები და საბჭოთა დაზვერვა სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესების დაცვის მძლავრი იარაღია. როცა ამაზე ილაპარაკებს, პროპაგანდისტმა უნდა აღნიშნოს საბჭოთა არმიის—ნამდვილად სახალხო არმიის — პრინციპიული განსხვავება კაპიტალისტური ქვეყნების არმიებისაგან. პროპაგანდისტმა ხაზგასმით უნდა აღნიშნოს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ყოველმხრივ განმტკიცების საჭიროება საბჭოთა კავშირის ხალხთა სოციალისტური მონაპოვრის დასაცავად და განმარტოს, რომ საბჭოთა არმიაში სამსახური სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობაა, რომ სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა და სხვა მოქმედება, რაც ზიანს მიაყენებს ჩვენს ქვეყანას, ისჯება როგორც ყველაზე მძიმე ბოროტმოქმედება.

სსრ კავშირის მოქალაქეთა უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა დაუღალავი სიფხიზლე, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების სისტემატური და ყოველმხრივ განმტკიცება. კონკრეტული მაგალითებით შეიძლება ვუჩვენოთ, თუ როგორ უნდა დაეხმარონ საბჭოთა ადამიანები სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს, საბჭოთა დაზვერვას სსრ კავშირის ინტერესების დაცვის საქმეში. სსრ კავშირის მოქალაქეთა სიფხიზლე და საბჭოთა დაზვერვის ორგანოებისადმი სისტემატური დახმარება მისი ძალის საფუძველია.

გაშლილ საუბარში პროპაგანდისტმა აყენებს საკითხებს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ იქმნებიან ისინი, როგორ იყოფიან სსრ კავშირის სამინისტროები; როგორ არის აგებული სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები და როგორია მათი ამოცანები. უნდა გამოირკვეს, თუ როგორ ესმით მსმენელებს საბჭოთა სასამართლოს და პროკურატურის როლი და ამოცანები. მათ უნდა იღაპარაკონ იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ საბჭოთა ადამიანები სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების განმტკიცებისათვის, საბჭოთა პატრიოტების სიფხიზლისა და საბჭოთა დაზვერვისადმი მათი დახმარებისათვის.

გავლილი მასალის უკეთ დასაწყმობლად მიზანშეწონილია უკანასკნელ მეცადინეობაზე მოკლედ მოვაგონოთ მსმენელებს თემის ძირითადი საკითხები და ხაზგასმით აღვნიშნოთ საერთოდ მთელი თემის დასკვნები.

* * *

მთელ თემაზე მეცადინეობისათვის მომზადებისას პროპაგანდისტმა უნდა გამოიყენოს შემდეგი ლიტერატურა:

ვ. ი. ლენინი—„შრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციის პროექტი“ (თხზ., ტ. XXII, გვ. 174-178).

ვ. ი. ლენინი—„სახელმწიფოს შესახებ“ (თხზ., ტ. XXIV, გვ. 362-377).

ვ. ი. ლენინი. „რა არის საბჭოთა ხელისუფლება“ (თხზ., ტომი XXIV, გვ. 201).

ი. ბ. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოც., გვერდი 33-45 და 743-751.

ი. ბ. სტალინი. „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, მოხსენება საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე.

ი. ბ. სტალინი. „საუბარი ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან“. („ლენინიზმის საკითხები“, მე-10 გამოცემა, გვ. 210).

ი. ბ. სტალინი. „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. მე-5 გამოცემა, გვ. 134-135.

ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია, გვერდი 170-171.

ი. ბ. სტალინი. „სიტყვები ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებებზე 1937 წლის 11 დეკემბერს და 1946 წლის 9 თებერვალს.

სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ—სტატია ჟურნალ „ბოლშევიკიდან“, № 22, 1948 წ.

მხატვრული ლიტერატურიდან თემის პირველი ნაწილისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ჯამბულის ლექსი „დიდი სტალინური კანონი“. საბჭოთა სახელმწიფოს დახასიათებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ნაწყვეტები ბაბაევსკის ნაწარმოებიდან „ოქროს ვარსკვლავის კავალერი“, აგრეთვე ბ. ანგელინას „ყველაზე მთავარი“ („ოგონიოკის“ ბიბლიოთეკა, 1948 წ. № 40).

თვალსაჩინო ხელსაწყოებიდან შეიძლება გამოვიყენოთ გეოგრაფიული რუკა და სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების წყობის სქემები. კინოსურათებიდან შეიძლება გავიხსენოთ ასეთი ეპიზოდები: მაქსიმეს დანიშნა სახელმწიფო ბანკის კომისრად („ვიბორგის მხარე“), ქალის როლი საბჭოთა სახელმწიფოში („მთავრობის წევრი“), საბჭოთა დაზვერვის შესახებ („მზვერავის გმირობა“). კაპიტალისტური ქვეყნების პრესის გამყიდველობას ეხება ბ. სიმონოვის პიესა „რუსეთის საკითხი“.

ე. გარკუშენკო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ვ. ბ. გოგუას თავმჯდომარეობით შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა განიხილა „ბავშვების შესანახად ალიმენტების გადახდევინების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 17 იანვრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი. ამ საკითხზე მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ამხ. ა. ნ. რაფავა და საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ამხ. ბ. ზ. ფურცხვანიძე.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად ბავშვების შესანახად ალიმენტების გადახდევინების საქმე გაუმჯობესდა, გაძლიერდა ბრძოლა იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც ბოროტად არიდებდნენ თავს ალიმენტების გადახდას, გაუმჯობესდა საალიმენტო საქმეებზე გადაწყვეტილებათა შესრულება და სხვ.

ამასთან ერთად რესპუბლიკაში ბავშვების შესანახად ალიმენტების გადახდევინების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. პროკურატურის ზოგიერთი ორგანო საჭირო ყურადღებას არ აქცევს დედების საჩივრებს.

ცალკეული სახალხო სასამართლოები საალიმენტო საქმეების განხილვისას ჯერ კიდევ არღვევენ მათი გარჩევისათვის დაწესებულ ვადებს. მთელი რიგი რაიონული და საქალაქო პროკურორები მონაწილეობას არ იღებენ სასამართლოს სხდომებში საალიმენტო საქმეების გარჩევისას. იუსტიციის სამინისტრო და რესპუბლიკის პროკურატურა საკმაო მეთვალყურეობას არ ახორციელებენ ალიმენტების გადახდევინების საქმეში ორგანიზაციათა, თანამდებობის პირთა და ცალკეულ მოქალაქეთა მოქმედებაზე. ეს იმას იწვევს, რომ საწარმოებსა და დაწესებულებებში არის საალიმენტო თანხ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კ.-პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად

რაიონი ანგარიშობს თავის შესაძლებლობებს მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად სიღნაღის რაიონის მშრომელები უკვე შეუდგნენ მუშაობას. ისინი სახაგენ კონკრეტულ ღონისძიებებს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის არსებული შესაძლებლობისა და რეზერვების გამოსავლინებლად. წელს სულ ითთვისებენ 1.000 ჰექტარ ახალ ფართობს, ხოლო 1950-1955 წლებისათვის ნავარაუდევია ითთვისონ სულ მცირე 5.000 ჰექტარი.

სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობა „ნდობას“ ყანებს წელს შეემატება 50 ჰექტარი მიწა, ქვემო მაჩხაანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობას 40 ჰექტარი, ჯუგაანის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობას — 65 ჰექტარი, ამავე სოფლის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას — 40 ჰექტარი, სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობა „ხირსის გლეხთა შრომას“ — 40 ჰექტარი, ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას — 40 ჰექტარი, ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობას 30 ჰექტარი და სხვ.

რაიონის 49 კოლმეურნეობიდან თესლბრუნვა შემოღებულია 22 კოლმეურნეობაში. ამ მხრივაც წელს ახალი ღონისძიებანი ისახება. მოსავლიანობის გასადიდებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ანეულად მოხვნას. გათვალისწინებულია წელს ანეულად მოხნან 3.200 ჰექტარი. დასახულია ღონისძიება წელს ჩაატარონ პირველი ცდა ნაქერალზე სიმინდის დათესვით მეორე მოსავლის მოსაყვანად.

წარსულ წლებში უწესივრო მდგომარეობაში იყო სარწყავი სისტემა. ამის გამო სარწყავი მიწებიც არ ირწყვებოდა. წელს მოირწყვება 800-1.000 ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან. სატრაქტორო სამუშაოები შარშანდელთან შედარებით რბილ ხვნაზე გადაყვანით გადიდდება 9.000 ჰექტარით. კოლმეურნეობებში ინერგება კახური დატოტვილი ხორბლის ჯიში. თუ 1948 წლისათვის დათესილი იყო ამ ხორბლის 12 ჰექტარი, 1949 წლისათვის დათესილია 120 ჰექტარი, ხოლო 1950 წლისათვის ნავარაუდევია ამ ფართობის 5-6-ჯერ გადიდება.

კოლმეურნეობებში მთავრდება საანგარიშო-საგადარჩევო კრებები. ამ კრებებზე ისახება ღონისძიებები მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის. მიმდინარეობს საწარმოო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა. ყველა ამ სამუშაოსთან ერთად გულმოდგინედ ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი მოსავლიანობის გასადიდებლად. სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „შრომა“, რომლის თავმჯდომარეა სოციალისტური შრომის გმირი მ. ნავროზაშვილი ენერგიულად ემზადება თესვისათვის. შარშან შემოდგომაზე კოლმეურნეობამ აითვისა 200 ჰექტარი თესლბრუნვის გარეშე დარჩენილი ახალი ფართობი. გაზაფხულისათვის ყველა საჭირო თესლი მზად არის და კარგადაც ინახება. საყანე ადგილებში უკვე შეტანილია 800 ტონამდე ნაკელი. მომარაგებული აქვთ 6 ტონა მინერალური ხასუქი, რომელსაც შეიტანენ კახური დატოტვილი ხორბლის ნათესში. შეკეთებულია 18 გუთანი, 14 „ზიგზაგი“ და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. 284 სული მუშა პირუტყვი საუკეთესო ბინებში ჰყავთ და მათ გაძლიერებით კვებავენ. დამთავრებულია ბრიგადებისა და რგოლების დაკომპლექტება.

მოსავლიანობის გადიდებისათვის თავის შესაძლებლობანი და რეზერვები გადაათვალიერა წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ბ. მჭედლიშვილი). აქ წელს აითვისებენ 30 ჰექტარ ახალ მიწას. 8 ჰექტარი გაზაფხულზე იქნება ათვისებული. უკვე მომდინარეობს სათესი ფართობის ამოძირკვა და გაწმენდა. 14 ჰექტარ სარწყავ ფართობზე, სადაც ხორბალი უთესიათ, ზაფხულში დაითესება სასილოსე სიმინდი. თუ წინა წლებში ნაწილობრივ იყო შემოღებული თამბაქოს რწყვა, წელს თამბაქო მასობრივად მოირწყვება. ნაწვერალზე წელს დათესენ 10 ჰექტარ სიმინდს. საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობა მზად არის.

თესვისათვის კარგად ემზადებიან სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის, საქობოს ორჯონიკიძის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

ამასთან ერთად, ზოგიერთ კოლმეურნეობაში თესვისათვის მზადებას არ ჩქარობენ. ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან ჰექტარზე მოიყვანა 7,2 ცენტნერი ხორბალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13 ცენტნერისა. კოლმეურნეობას სიმინდი შირაქში ეთესა. მის გვერდით მყოფმა კოლმეურნეობებმა ჰექტარზე მოიყვანეს 16-დან 18 ცენტნერი სიმინდი, კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ კი — მხოლოდ 9 ცენტნერი. ამის მიზეზი ის იყო, რომ სიმინდის დიდი ნაწილი მხოლოდ ერთხელ გათოხნეს. ამ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი საკოლმეურნეო მიწების დატაცების ფაქტები. მაგალითად, ლადო ყაჯრიშვილი 1939 წელს გარიცხეს კოლმეურნეობიდან და მიწა ჩარიცხეს კოლმეურნეობის ფონდში. მაგრამ ამ ნაკვეთს დღემდე ფლობდა მისი ძმა რაჟდენ ყაჯრიშვილი. იოველ გელაშვილი 1946 წლიდან წითელწყაროს რაიონში ცხოვრობს, მაგრამ მან 1948 წლის მოსავალი წაიღო მისი ყოფილი ნაკვეთიდან. ილია და რეზო ტუხაშვილები საკოლმეურნეო ნაკვეთებში თვითნებურად შეეჭრნენ. ეს დამახინჯებანი კოლმეურნეობაში დღემდე არ არის აღმოფხვრილი. პარტიული ორგანიზაცია, რომელიც პარტიის 38 წევრ-კანდიდატს აერთიანებს, ხშირად იხილავს კოლმეურნეობის მუშაობის საკითხებს, იღებს დადგენილებებს, მაგრამ არ ამოწმებს მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, დადგენილებათა დიდი ნაწილი მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ამ კოლმეურნეობაში 1948 წელს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი 81 კოლმეურნეს არ გამოუმუშავებია, ხოლო 8 კოლმეურნეს არც ერთი შრომადღე არა აქვს გამომუშავებული. ნაკვეთების ინდივიდუალურად მიჩენას აქ ყურადღებას არ აქცევენ. შარშან კოლმეურნეებს ინდივიდუალურად მხოლოდ ვენახები მიუჩინეს, მაგრამ აღმრიცხველმა ნინო გელაშვილმა ცალ-ცალკე არ აღრიცხა მოწეული მოსავალი და შრომადღეები რგოლების მიხედვით დაარიცხა. ამით აქ ნაკვეთების ინდივიდუალურად მიჩენას მნიშვნელობა დაუკარგეს.

ვაჭირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ნაკვეთები ინდივიდუალურად მიუჩინეს, მაგრამ აღრიცხვის საბუთები სათანადოდ არ გააფორმეს. მიღებული მოსავლის წონის საბუთებს არც ერთს არა აქვს ჩამბარებლისა და მიმღების ხელმოწერა. ურწყავ და სარწყავ ნაკვეთებში მოყვანილი მოსავალი ცალ-ცალკე არ აღრიცხეს და ამიტომ გაუგებარია, რომელ ნაკვეთზე რამდენი მოსავალია მიღებული ჰექტარზე.

რაიონის კოლმეურნეობები თესლეულით უზრუნველყოფილი არიან. მცირე რაოდენობით აკლიათ მხოლოდ კარტოფილისა და ლობიოს თესლი. პირველი თებერვლიდან დაიწყო თესლეულის საბოლოო შემოწმება. გამოირკვა, რომ აღმოცენების მხრივ თესლეული კარგია, მაგრამ ბევრ კოლმეურნეობაში თესლის გაწმენდას ყურადღებას არ აქცევენ. ამის გამო დაწუნებულია სოფელ ნუკრიანის სტალინის, ბოდბის 26 კომისრის და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებიდან წარმოდგენილი ქერისა და მზესუმზირის თესლი.

საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებას ბევრად წყვეტს მტს-ების მზადყოფნა. ამ მხრივ ულიანოვკის მტს-ში უდარდელობას იჩენენ. კვლავ ჭიანურდება ტრაქტორების რემონტი, შესაკეთებელია 10 ტრაქტორი, ხოლო გეგმის გარეშე შესაკეთებლად დგას კიდევ 6 ტრაქტორი. არა აქვთ საჭირო ნაწილები, რკინეული, მზად არ არის არც ერთი ფარდული, ამის გამო ტრაქტორების რემონტს მინდვრად, ცისქვეშ აწარმოებენ. ხშირია სამუშაოზე გაცდენადაგვიანების შემთხვევები. დღემდე არ არის დაწყებული კომბაინების რემონტი. თუ სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული, მტს-ი მოუმზადებელი შეხვდება გაზაფხულის სამუშაოებს.

მინდვრის სამუშაოების დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. სოფლის მთელი ძალები უნდა დავრაზმოთ გაზაფხულისათვის საუკეთესოდ მომზადებისათვის. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ“ მოცემულია მიმდინარე წელს უხვი მოსავლის მოყვანის გაშლილი პროგრამა. სიღნაღელ კოლმეურნეთა შორის ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის გაცნობამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მოწინავე კოლმეურნეობები ამ დადგენილებას უპასუხებენ ნათესების გაფართოებისა და თესვისათვის მზადების ტემპის გაძლიერებით.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ კოლმეურნეთა ინიციატივას, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მათ შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას, დარაზმონ ისინი საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

ნ. ფაჩულია
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

გ. ყაჯრიშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ყველა სასოფლო კლუბი ნაყოფიერად უნდა მუშაობდეს

გასულ წელს ახალქალაქის რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი შესამჩნევად გაფართოვდა. რაიონის ცენტრში გაიხსნა საბავშვო ბიბლიოთეკა, სოფელ ბარალეთში შეიქმნა სასოფლო-ბიბლიოთეკა, ვარევანის კოლმეურნეობამ აიშენა 200-ადგილიანი კლუბი, ახალი კლუბებით დამშვენდნენ აგრეთვე სოფლები კარტიკამი, აბულა, დილისკა, გუმბურდო, ქილდა და არაგვა.

აღნიშნული კულტურის კერები უზრუნველყოფილი არიან უნარიანი მუშაკებით, ლიტერატურით, სათბობი მასალით, კეთილმოწყობით და ნაყოფიერ კულტმომსახურებას უწევენ მოსახლეობას. კოთელიის სასოფლო კლუბთან (კლუბის გამგე შ. ანანიაშვილი) არსებობს რამდენიმე წრე. დრამატული წრე, რომელშიც კოლმეურნე ახალგაზრდობაა გაერთიანებული, ხშირად აწყობს საოამო-წარმოდგენებს. ლიტერატურული, აგრონომიული და მხარეთმცოდნეობის წრეები ატარებენ საჯაარო ლექცია-მოხსენებებს აქტუალურ საკითხებზე. წრეობრივ მუშაობაში ჩაბმული არიან მასწავლებლები, ექიმები და აგრონომები.

სამწუხაროდ, ყველგან ასე ნაყოფიერად როდი მუშაობენ. სარაიონო ბიბლიოთეკა (გამგე შ. მადიანი) ნახევარჯერ დაკეტილია. ამას იმით ხსნიან, რომ შეშა არ არის და სიცივეში მუშაობა შეუძლებელიაო. ბიბლიოთეკა სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების არჩევნებთან დაკავშირებით არავითარ მუშაობას არ ეწეოდა. საღამოობით ბიბლიოთეკა უსინათლოდაა. გასაკვირველი ის არის, რომ ბიბლიოთეკა მოთავსებულია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რაიონული განყოფილების მეზობელ ოთახში, განყოფილების გამგე კი ამ სავალალო მდგომარეობას გულგრილად უცქერის.

კარზახის სასოფლო კლუბი შეშით არ არის მომარაგებული. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ჩახალიანმა კლუბის გამგე რ. ღალაჩიანი პირად საქმეზე გაგზავნა ბორჯომში, სადაც იგი 25 დღეზე მეტს დარჩა. ამ ხნის განმავლობაში კლუბი დაკეტილი იყო.

საჭიროა მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ნ. ფარჯანაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ინიციატივიანი კომისია

ზედა საქარის სასოფლო საბჭოს (ზესტაფონის რაიონი) კეთილმოწყობის მუდმივ კომისიას დეპუტატი კ. შველიძე ხელმძღვანელობს.

სასოფლო საბჭოდან ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობისაკენ მიმავალი გზა სრულიად უვარგისი იყო. ზამთარ-ზაფხულ გაუვალი ტალახი იდგა. დეპუტატების კ. შველიძის, ვ. ფუტკარაძისა და შ. ცერცვაძის ინიციატივით დაიწყო ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობაში მისასვლელი ახალი საუბნო გზის მშენებლობა. გაყვანილ იქნა ქვითა და ხრეშით მოკირწყლული კეთილმოწყობილი საავტომობილო გზა. გზის მშენებლობაზე თავდადებული მუშაობით გამოირჩეოდნენ კოლმეურნეები სოლომონ ფუტკარაძე, მიხაკო სამხარაძე, კომკავშირელი რევაზ ტალახაძე, შალვა კახელი, საშიკო ფუტკარაძე და სხვები, რომლებიც გზის სამუშაოზე ნორმებს 200-300 პროცენტით ასრულებდნენ.

ს. მუმლაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მარიამ ისაკოვა—ორგზის მსოფლიო ჩემპიონი

13 თებერვალს ქალაქ კონგსბერგში (ნორვეგია) დამთავრდა ქალთა შორის საცეგურო სპორტში მსოფლიო პირველობაზე შეჯიბრება, რაც ორ დღეს გრძელდებოდა. საბჭოთა სპორტსმენებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

მსოფლიო ჩემპიონის წოდება 1949 წლისათვის ცეგურებით ჩქარ რბენაში მოიპოვა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მარიამ ისაკოვამ. მეორე წელიწადია, რაც მსოფლიო ჩემპიონის სატიტო დაფნის გვირგვინი ზედიზედ მიაკუთვნეს საბჭოთა სპორტსმენ ქალს. მარიამ ისაკოვამ გაიმარჯვა 500, 3.000 და 1.000 მეტრზე რბენაში.

1.000 მეტრზე გარბენა გუშინ შედგა. მარიამ ისაკოვამ ამ დისტანციაზე რბენაში პირველი და მეორე ადგილი გაიყო თავის თანამემამულესთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ზოია ხოლშჩევნიკოვასთან. მათი შედეგია 1 წუთი და 41,9 წამი. ამ დისტანციაზე მარიამ ისაკოვას გამარჯვებამ გადაწყვიტა პირველობის ბედი. საერთაშორისო წესებით მსოფლიო ჩემპიონად ითვლება ოთხ დისტანციიდან სამ დისტანციაზე გამარჯვებული.

მესამე ადგილი 1.000 მეტრზე რბენაში დაიკავა რიმა ჟუკოვამ (სსრ კავშირი) — 1 წუთი და 43,5 წამი, მეოთხე — მარიანა ვალოვამ (სსრ კავშირი) — 1 წუთი და 43,6 წამი, მეხუთე — რანდი ტერვალდსენმა (ნორვეგია) — 1 წუთი და 44,3 წამი.

5.000 მეტრზე რბენაში საუკეთესო შედეგი მოიპოვა ფინელმა სპორტსმენმა ქალმა ვ. ლეშემ. მან დისტანცია გაიარა 9 წუთსა და 26,8 წამში. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია. უაღრესად გამოცდილ სპორტსმენ ლეშეს წყვილში მიდიოდა ახალგაზრდა საბჭოთა ფიზკულტურელი, სპორტის ოსტატი სვერდლოვსკელი რიმა ჟუკოვა. იგი სულ 0,3 წამით ჩამორჩა ფინელ სპორტსმენს და 5.000 მეტრი 9 წუთსა და 27,1 წამში გაიარა. რიმა ჟუკოვას მიერ მოპოვებული შედეგი აგრეთვე აღემატება არსებულ მსოფლიო რეკორდს.

მესამე ადგილი 5.000 მეტრზე რბენაში დაიკავა ზოია ხოლშჩევნიკოვამ — 9 წუთი და 41,9 წამი. იგი მიდიოდა მარიამ ისაკოვას წყვილში. ამ დროს ამინდი მკვეთრად შეიცვალა — დაიწყო წვიმა. ერთბაშად გაუარესდა ყინულიანი გზა. ყინული დალბა, ცეგურები შიგ ღრმად იჭრებოდნენ. ეს მეტად აძნელებდა მოძრაობას და ამცირებდა სიჩქარეს. საბჭოთა მსწრაფლმსრბოლელთ მთელი ძალების დაძაბვა მოუხდათ, რომ დისტანცია დაემთავრებინათ. შედეგად მარიამ ისაკოვა 5.000 მეტრზე რბენაში მეექვსე ადგილზე გამოვიდა.

სპორტში მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლაში საბჭოთა ფიზკულტურელმა ქალებმა ორი დღის შეუპოვარი შეჯიბრების შედეგად ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

პირველი ადგილი, დიდი ოქროს მედალი და მსოფლიო ჩემპიონის წოდება მეორედ მიეკუთვნა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს მარიამ ისაკოვას.

მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა ზოია ხოლშჩევნიკოვამ, მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი — რიმა ჟუკოვამ.

საბჭოთა ქალების შესანიშნავი წარმატება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ სსრ კავშირი ყველაზე მოწინავე სპორტული სკოლის ქვეყანაა.

* * *

როგორც ცნობილია, საბჭოთა სპორტსმენი ქალები პირველად როდი ამყარებენ საერთაშორისო რეკორდებს. 1936 წელს ნორვეგიაში ბრწყინვალედ გამოვიდა გორკელი ვალენტინა კუზნეცოვა. 1946 წელს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სვერდლოვსკელმა ტატიანა კარელინამ ნორვეგიაში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

შარშან საბჭოთა სამშობლოს სპორტული ღირსება ქალთა შორის ციგურებით ჩქარ რბენაში მსოფლიო პირველობის შეჯიბრებაში, რაც ფინეთში ტარდებოდა, ბრწყინვალედ დაიცვეს მარიამ ისაკოვამ, ლიდა სელიხოვამ და ზოია ხოლშჩევნიკოვამ. მათ ისევე, როგორც წელს, დაიკავეს სამივე პირველი საპრიზო ადგილი.

13 თებერვალს საცეგურაო ასპარეზზე კონგსბერგში 5.000 მეტრ დისტანციაზე რბენის დამთავრების შემდეგ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ალვორსენმა მსოფლიო ჩემპიონს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს და საბჭოთა კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს მარიამ ისაკოვას დიდი დაფნის გვირგვინი დაადგა. ორკესტრმა შესრულა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. სტადიონის მაღალ ანძაზე აღმართულ იქნა სსრ კავშირის ალისფერი ალამი.

ტაშის გრიალსა და ათასობით მაყურებელთა მისასალმებელ შეძახილებში მარიამ ისაკოვამ ყინულოვან გზაზე მოხაზა მსოფლიო ჩემპიონის საპატიო წრე. (საკადესი).

ჩვენ გვწერენ

ზამთარს მოუმზადებელი შეხვდნენ

რკინიგზის გურჯაანის სამგზავრო სადგური (უფროსი ი. გვანცელაძე) მოუმზადებელი შეხვდა ზამთარს. მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი, სადაც დღეღამის განმავლობაში მრავალი მგზავრი იყრის თავს, შეუკეთებელია. დარბაზის ფანჯრები ჩამტვრეულია, სამი-ოთხი დღის და ხშირად მთელი კვირის განმავლობაში სადგურის დარბაზს არ ასუფთავებენ, რაც მგზავრთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ს. შაქარაშვილი

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სასკოლო ქონების განიავებისათვის

„კომუნისტის“ რედაქციაში შემოსული იყო წერილი, რომლის ავტორი გვაცყობინებდა, რომ დუშეთის რაიონის სოფელ ბულაჩაურის 8-წლიანი სკოლის დირექტორი ვ. ჩირგაძე სკოლის ბაღიდან მიღებულ შემოსავალს ანიავებს და ითვისებს, ეწევა ლოთობას და სხვა დანაშაულებრივ მოქმედებას.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომს. როგორც რაიკომის მდივანი ამბ. ვ. ტოგონიძე გვაცყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. სოფელ ბულაჩაურის 8-წლიანი სკოლის დირექტორი ვ. ჩირგაძე მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

მეჯი ყურადღება კოლმეურნეობებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარებას

კოლმეურნეობებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადება და ჩატარება უმნიშვნელოვანესი სამეურნეო პოლიტიკური ამოცანაა.

1948 წელი საქართველოს კოლმეურნეობებისათვის იყო მათი საზოგადოებრივი სიმდიდრის შემდგომი ზრდის პერიოდი. კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების ვალდებულებანი და უზრუნველყვეს მარცვლეულის, რძისა და ხორცის პროდუქტების მნიშვნელოვანი ფონდების, აგრეთვე ფულადი ანარიცხების გამოყოფა შრომადღეებზე გასანაწილებლად. კოლმეურნეობათა საანგარიშო კრებები შეაჯამებენ განვლილი მუშაობის შედეგებს, განაზოგადებენ საუკეთესო ბრიგადების, მერგოლეურებისა და სოფლის მეურნეობის ცალკეულ მოწინავეთა მუშაობის დადებით გამოცდილებას.

ამასთან ერთად საანგარიშო კრებებმა ბოლშევიკურად უნდა გააკრიტიკონ კოლმეურნეობების გამგეობათა მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახონ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდისა და მორგ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით მოსამზადებლად და ჩასატარებლად კოლმეურნეთა დარაზმვის პრაქტიკული ღონისძიებანი.

წარსულ წლებში მთელ რიგ კოლმეურნეობებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები მიმდინარეობდა არაორგანიზებულად, ზოგჯერ ფორმალურადაც, კრებებზე არტელის წევრთა სულ მცირე $^2/_3$-ის სავალდებულო დასწრების შესახებ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მოთხოვნის დაუცველად. ბევრ კოლმეურნეობაში ნაცვლად კოლმეურნეობათა გამგეობების ანგარიშების ღრმა და ყოველმხრივი განხილვისა, საქმე არსებითად ამოიწურებოდა ხოლმე ციფრობრივ მაჩვენებელთა უბრალოდ დამტკიცებით. ასეთი ნაკლოვანებანი წელს არ უნდა დავუშვათ.

პირველი ცნობები კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების შედგენისა და საანგარიშო კრებების ჩატარების შესახებ ცხადყოფენ, რომ ცალკეულ რაიონებში ამ მუშაობას სათანადო მნიშვნელობა არ ეძლევა. ამის გამო ეს მუშაობა მიმდინარეობს არასაკმაო პოლიტიკური მიზანსწრაფულობით, არაორგანიზებულად, დაგვიანებით და მთელ რიგ შემთხვევებში რაიონული ორგანიზაციების მხრივ კონტროლის გაუწევლად. მაგალითად, ყვარლის, ჩოხატაურის, ჭიათურისა და სხვა რაიონებში ჭიანურდება წლიური ანგარიშების განხილვა კოლმეურნეთა საერთო კრებებზე. ყვარლის რაიაღმასკომმა სავსებით სწორად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ანგარიშების შედგენაში დახმარების გასაწევად კოლმეურნეობებისათვის მიემაგრებინათ ანგარიშწარმოების მუშაკები, მაგრამ ამავე დროს ვერ მიაღწია იმას, რომ ეს მუშაკები დროულად წასულიყვნენ კოლმეურნეობებში (ბერიას სახელობის, ტელმანის სახელობის, კუიბიშევის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობები). ვერც ჩოხატაურის რაიაღმასკომმა უზრუნველყო დახმარების გაწევა წლიური ანგარიშების შედგენაში მთელი რიგი კოლმეურნეობების ანგარიშწარმოების სუსტი მუშაკებისათვის (ვოროშილოვის სახელობის კოლმეურხეობა, კოლმეურნეობა „წითელი ნადი“, „დამკვრელი“).

წლიური ანგარიშების შედგენისას ცალკეულ კოლმეურნეობებში არღვევენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილებას კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დარგში. მაგალითად, ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობა „შრომაში“ დარიცხული შრომადღეების რაოდენობა არ შეადარეს თვითეულ ბრიგადაში, რგოლში, ფერმაში შრომადღეების დახარჯვის გეგმას, აგრეთვე ამ დადგენილების შესაბამისად არ დაურიცხეს შრომადღეები ბრიგადებსა და რგოლებს მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის და არ ჩამოაწერეს შრომადღეები არამთლიანად შესრულებისათვის.

წლიური ანგარიშების შედგენაზე მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მთელ რიგ შემთხვევებში წლიურ ანგარიშებს ადგენენ ცუდი ხარისხით და, გარდა ამისა, მთელ ამ მუშაობასთან ერთად არ ხდება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების არსებულ დარღვევათა ლიკვიდაცია. მაგალითად, ყვარლის რაიონის ზემოხსენებულ კოლმეურნეობას, რომლის ფულადი შემოსავალი 355 ათას მანეთს შეადგენს, აქვს დაუფარავი დებიტორული დავალიანება 27.725 მანეთის ოდენობით (რაისაგზაო განყოფილებაზე ირიცხება 8.866 მანეთი და მეთამბაქოობის რაიონულ კანტორაზე — 2.295 მანეთი). გარდა ამისა, გასულ წელს კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ცალკეულ კოლმეურნეებს სესხზე პირადი ხელმოწერისათვის ავანსის სახით მისცა 70 ათასი მანეთი და ეს თანხა დღემდე გაუსტუმრებელია. ამავე რაიონის სოფელ შილდის კოლმეურნეობა „მესვეურში“ კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიამ საწყობის გამგის სესე ასაბაშვილს წლიური რევიზიის შედეგების მიხედვით 3.440 კილოგრამი სიმინდის დანაკლისი აღმოუჩინა. კოლმეურნეობის გამგეობამ, ნაცვლად იმისა, რომ საწყობის გამგე დაესაჯა და განიავებული პროდუქცია აღედგინა, ეს დანაკლისი გააფორმა, როგორც კოლმეურნეებისათვის მიცემული ავანსი. კოლმეურნეობის გამგეობას კოლმეურნეობაში სამუშაოდ მიწვეული დროებითი მუშებისა და სხვა პირების კვებისათვის უფასოდ გაუცია მნიშვნელოვანი რაოდენობის პროდუქტები, მათ შორის 765 კილოგრამი ხორბალი, 347 კილოგრამი სიმინდი, 893 ლიტრი ღვინო, 41 კილოგრამი ყველი და 5,4 კილოგრამი ზეთი და 34 კილოგრამი ხორცი. ყოველივე ეს წლიურ ანგარიშში ჩამოწერილია, როგორც კანონიერი ხარჯი.

ჩოხატაურის რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებშიც წლიურ ანგარიშებს ცუდი ხარისხით ადგენენ, სამეურნეო საქმიანობის შედეგებში შეაქვთ პროდუქტების, ფულისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვის სრულიად უკანონო ოპერაციები. მაგალითად, სოფელ ზემო ფარცხმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შედგენილ წლიურ ანგარიშში შეტანილია ტრაქტორისტების კვებაზე გაწეული უკანონო ხარჯები, მათ შორის 166 ლიტრი ღვინის, 64 კილოგრამი სიმინდის, 21 კილოგრამი ყველის და სხვ. დახარჯვა. გარდა ამისა, კოლმეურნეობას ტრაქტორისტების მუშაობისათვის შეუძენია 350 კილოგრამი ნავთი. ამასთან კოლმეურნეობაში ტრაქტორებით მოხნულია 13 და დაფარცხულია 40 ჰექტარი. ამავე კოლმეურნეობაში ნებით დაქირავებული მეველისათვის, შრომადღეების დარიცხვის გარდა, უფასოდ მიუციათ 75 ლიტრი ღვინო და 112 კილოგრამი სიმინდი, და ყოველივე ეს უკანონოდ არის ჩამოწერილი წლიურ ანგარიშში.

თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა საანგარიშო კრებისათვის მზადებისას არ ეწევა მუშაობას დებიტორული დავალიანების სალიკვიდაციოდ, რაც კოლმეურნეობაში 147 ათას მანეთს შეადგენს. ამ კოლმეურნეობამაც არ უზრუნველყო ფულადი სახსრების სრული გადარიცხვა განუყოფელ ფონდში, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მოთხოვნის შესაბამისად.

არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ აგრეთვე ისეთი მდგომარეობა, როცა სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილება ყურადღებას არ აქცევს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების წერილობითი ანგარიშების მომზადებას. ამის გამო ხშირად თავმჯდომარეებს საანგარიშო კრებებზე გამოაქვთ ის ციფრობრივი მასალები, რომლებსაც წლიური ანგარიშის ფორმა ითვალისწინებს, და ამასთან დაკავშირებით არ იძლევიან კოლმეურნეობის მუშაობის, მთელი მისი დადებითი მხარეებისა და ნაკლის სრულ ანალიზს.

არასწორია ისიც, რომ ცალკეულ კოლმეურნეობებში საანგარიშო-საარჩევნო კრებებისათვის არ ამზადებენ ღონისძიებებს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარების რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

სუსტად მიმდინარეობს აგრეთვე სარევიზიო კომისიების მზადება საანგარიშო კრებებისათვის. მთელ რიგ კოლმეურნეობებში სარევიზიო კომისიები არ ახდენენ გასული წლის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის გულდასმით რევიზიას. ყვარლის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 1948 წლის მანძილზე სარევიზიო კომისიამ სულ ერთხელ მოახდინა რევიზია. გასული წლის დამლევს სარევიზიო კომისიამ მხოლოდ ინვენტარიზაციის მოწყობაში მიიღო მონაწილეობა, მთელი სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის რევიზია კი არ მოუხდენია და ამიტომ საანგარიშო კრებისათვის სრულებით არ მომზადებულა. ამავე დროს ამ კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საფინანსო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს.

ბორჯომის რაიონის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობაში სარევიზიო კომისიას შარშან ერთი რევიზიაც არ მოუხდენია, აგრეთვე არ მოუმზადებია დასკვნა კოლმეურნეობის გამგეობის წლიური ანგარიშის შესახებ.

რაიაღმასკომები დიდ მუშაობას უნდა ეწევოდნენ წლიური ანგარიშების განსახილველად. მაგრამ ცალკეული რაიაღმასკომები ამ მუშაობას საერთო კრებების მიერ წლიური ანგარიშების დამტკიცების პარალელურად კი არ ეწევიან, არამედ აჭიანურებენ მას იმ დროისათვის, როცა წლიური ანგარიშები ყველა კოლმეურნეობაში იქნება დამტკიცებული. მაგალითად, ბორჯომის რაიონში 1 თებერვლისათვის კოლმეურნეთა საერთო კრებებზე დამტკიცებული იყო 12 წლიური ანგარიში, რაიაღმასკომს კი ერთიც არ ჰქონდა განხილული. ჭიათ

კარდინალ მინდსენტისა და მის თანამონაწილეთა პროცესი

ექვს დღეს გრძელდებოდა უნგრეთში ხალხის მტრების—იოზეფ მინდსენტისა და მისი ექვსი თანამონაწილის საქმის განხილვა. სახალხო სასამართლოს სპეციალურმა კოლეგიამ ღირსეული განაჩენი გამოუტანა გაბოროტებული რეაქციის ნაძირალებს.

ამერიკელი მონოპოლისტები ვერ ფარავენ სიძულვილს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი. ბნელეთის მოციქულები ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ იმისათვის, რომ უკეღმართ წარსულს დაუბრუნონ ეს ქვეყნები, დამოუკიდებლობა და თავისუფლება წაართვან განთავისუფლებულ ხალხებს. მაგრამ მათი ყველა ღონისძიება სამარცხვინო კრახით მთავრდება.

რეაქციის ღონისძიებათა ერთ-ერთი ასეთი კრახის მაგალითია კარდინალ მინდსენტისა და მის თანამონაწილეთა პროცესი.

რეაქციონერი, მონარქისტული რეჟიმის მოტრფიალე მინდსენტი ჯერ კიდევ 1921 წლიდან იბრძოდა პროგრესულ ძალთა წინააღმდეგ. უნგრელი ხალხის განთავისუფლების შემდეგ სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველად მან შექმნა მონარქისტული არალეგალური ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის გეგმა დაფუძნებული იყო უცხოეთის ინტერვენციის იმედზე. დაპირებებთან ერთად ეს ორგანიზაცია უცხოეთიდან მატერიალურ დახმარებასაც იღებდა.

1947 წელს მინდსენტი გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ მას გულთბილი შეხვედრა მოუწყო ავსტრია-უნგრეთის დინასტიის უკანასკნელმა ნაშიერმა ოტო ჰაბსბურგმა. გაიცნო უნგრეთის საშინაო საქმეებით დაინტერესებული მონოპოლისტები, მიიღო ინსტრუქცია შეთქმულების მოწყობის შესახებ. მას ურჩიეს მტკიცედ დაკავშირებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ბუდაპეშტში სელდენი ჩეპინს, სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ ცნობები მიეწოდებინა ამერიკის დაზვერვისათვის.

ამერიკულ დოლარებთან ერთად მინდსენტიმ ჩამოიტანა რწმენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყველაფერს გააკეთებდნენ უნგრეთში არსებული რეჟიმის დამხობისათვის. იგი შეუდგა შეთქმულების მომზადებას. შეთქმულთა მიზანი იყო ავსტრია-უნგრეთისა და ბავარიის გაერთიანება, უნგრეთში მონარქისტული წყობილების აღდგენა. ეს უნდა მომხდარიყო ახალი ომის შედეგად. ამდენად, უნგრელი ხალხის მტრები მესამე მსოფლიო ომზე ოცნებობდნენ.

უნგრეთის სახალხო პროკურორი დიონლა ალაპი მართებულად მიუთითებდა პროცესზე, რომ მონარქისტულ-კათოლიკური შეთქმულების დანაშაული განხილული უნდა იქნას, როგორც იმპერიალისტების მხრივ მესამე მსოფლიო ომისათვის მზადების გეგმის ნაწილი.

ხალხის მტრები ყოველმხრივ უშალიდნენ ხელს უნგრეთში საპარლამენტო არჩევნებს 1947 წელს. ისინი აშკარად ილაშქრებდნენ ეკლესიისაგან სკოლების გამოყოფისა და მათი სახელმწიფოს ხელში გადასვლის წინააღმდეგ.

მინდსენტი და მისი მიმდევრები ავრცელებდნენ რესპუბლიკის საწინააღმდეგო პროკლამაციებს, დასავლეთელი მფარველებისაგან იღებდნენ ათობით მილიონ დოლარს, ფარულად უშვებდნენ მას მიმოქცევაში და ვალუტის ამგვარი სპეკულაციით სახელმწიფოს დიდ ზიანს აყენებდნენ.

გზაანნეული კარდინალი გვიან დარწმუნდა, რომ ვინც ქარს დათესავს, ქარიშხალს მოიმკის. მისი უკანასკნელი წერილი ამერიკის ელჩ სელდენი ჩეპინისადმი სასოწარკვეთილ მუდარას შეიცავდა, თხოვდა როგორმე სასწრაფოდ გაემგზავრებინათ იგი ამერიკაში. მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. მინდსენტი ხაფანგში გაება.

სასამართლო პროცესმა დამაჯერებლად ნათელყო შეთქმულთა ბოროტმოქმედებანი და მათი ბინძური ზრახვანი. ამან გამოიწვია იმპერიალისტური ქვეყნების რეაქციული პრესის ბმაური. ახალგაზრდა რესპუბლიკას ბრალს სდებდნენ, რომ იგი ზღუდავს და დევნის რელიგიას (ეს მაშინ, როცა უნგრეთში კანონით დაწესებულია რწმენის სრული თავისუფლება), ითქოს სასამართლო პროცესზე არ ისწრაფს უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს, მიმართავს სასტიკ ცენზურას და აბნევს სიტყვის თავისუფლებას.

წამოყენებული ბრალდებანი იმდენად უხამსი და ცილისმწამებლურნი იყვნენ, რომ პროცესის დამსწრე 12 სახელმწიფოს წარმომადგენელი 27 ჟურნალისტი იძულებული გახდა საერთო განცხადებით გამოსულიყო.

ჟურნალისტები კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ იქ არ არსებობს არავითარი ცენზურა, კორესპონდენტები შეუზღუდავად წერენ და გადასცემენ ფაქტებსა და თავიანთ მოსაზრებებს; ნაზდვილი არ არის ბრალდება, რომ თითქოს სასამართლო ანგარიშის თარგმანი უცხო ენებზე სწორი არ იყოს. კორესპონდენტთა უმრავლესობას ან შეუძლია უნგრულად ლაპარაკი, ან თავისი მთარგმნელი ჰყავს.

ჟურნალისტთა ამ განცხადებას ხელს აწერდნენ ინგლისის რეიტერის სააგენტოსა და „დეილი ექსპრესის“ წარმომადგენელი, ამერიკის შეერთებული შტატების ასოშიეიტედ პრესისა და „ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის“ წარმომადგენელი, საფრანგეთის, იტალიისა და მრავალი სხვა სახელმწიფოს სააგენტოებისა და რედაქციების წარმომადგენლები.

დეე განაჩენმა გვიჩვენოს, — განაცხადა სახალხო პროკურორმა დიონლა ალაპიმ, — რომ უნგრეთის დემოკრატიას შეუძლია თავის დაცვა, დეე ეს განაჩენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მაგალითი იყოს!

8 თებერვალს სახალხო სასამართლოს კოლეგიამ ვილმოშ ოლტის თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი.

იოზეფ მინდსენტისა და ბელა იშპანკის მიესაჯათ მუდმივი პატიმრობა, იუსტინ ბარანაიისა და პალ ესტერჰაზის — 15 წლის, ლასლო ტოტს—10 წლის, ანდრაშ ზაქარს — 6 წლის, მიკლოშ ნადს—3 წლის პატიმრობა საკატორღო საპყრობილეში

განაჩენში აღნიშნულია, რომ ყველა მსჯავრდებულის ქონება კონფისკებული უნდა იქნას.

გაზეთი „საბად ნეპი“ უნგრელ ხალხს აფრთხილებს, რომ შეთქმულთა ამ ბუნაგის განადგურებამ მათი დამშვიდება არ უნდა გამოიწვიოს და რომ საერთაშორისო რეაქციისა და მისი აგენტების წინააღმდეგ კვლავ შეურიგებელი ბრძოლაა საჭირო.

საბრალდებო დასკვნა ბულგარეთის ევანგელისტური ეკლესიის ხელმძღვანელთა ჯგუფის საქმეზე

სოფია, 12 თებერვალი. (საკადესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავარმა პროკურორმა დ. გეორგიევმა სოფიის საოლქო სასამართლოს წარუდგინა საბრალდებო დასკვნა ბაერთიანებული ევანგელისტური ეკლესიის ხელმძღვანელთა ჯგუფის საქმეზე, რომლებიც მხილებულნი არიან ჯაშუშურ და გამცემლურ საქმიანობაში.

სამართალში მიცემულია გაერთიანებული ევანგელისტური ეკლესიის უმაღლესი საბჭოს 15 წევრი. კველა ისინი, როგორც წინასწარი გამოძიებით დადგენილია, დაუკავშირდნენ უცხოეთის დაზვერვის ორგანოებსა და საერთაშორისო რეაქციის წარმომადგენლებს, აგროვებდნენ და უცხოეთის დაზვერვის ორგანოებს აწვდიდნენ სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის სხვადასხვა ცნობებს.

ბრალდებულნი ავრცელებდნენ სხვადასხვა ცილისმწამებლურ ხმებს და მოსახლეობას მოუწოდებდნენ არ შეესრულებინათ მთავრობის განკარგულებანი.

თავისი ჯაშუშური სამსახურისა და ხალხისა და მთავრობის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობისათვის ყველა ბრალდებული უცხოეთის დაზვერვის ორგანოებისაგან უხვ გასამრჯელოს იღებდა უცხოეთის ვალუტით. ბევრი მათგანი ვალუტის სპეკულაციას ეწეოდა.

მშვიდობის დაცვის მიზეზი პარიზში

პარიზი, 12 თებერვალი. (საკადესი). გუშინ პარიზში „მიუტუალიტეს“ დარბაზში ფრანგი პოეტის პოლელუარის თავმჯდომარეობით გაიმართა კულტურის მუშაკთა კავშირის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მოწყობილი მიტინგი.

მიტინგის პრეზიდიუმში იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები: რეპინსკი (პოლონეთი), ელა უინტერი (ამერიკის შეერთებული შტატები), ლუი არაგონი, ეიენი კოტონი, ვილარი, ემე ლეზერი (საფრანგეთი), პ. ფედოსეევი და ა. ფადეევი (სსრკ), რენატო გუტუზო (იტალია), იან მუკარეოვსკი (ჩეხოსლოვაკია), კროუტერი (ინგლისი), ანილ დე სილვა (ინდოეთი) და სხვები.

ლუი არაგონი მიესალმა მსოფლიოს ყველა ქვეყნის კულტურის პროგრესულ მუშაკებს და შეაჯამა მშვიდობის დასაცავად კულტურის მოღვაწეთა ვროცლავის კონგრესისა და კავშირის საერთაშორისო კომიტეტის სხდომის შედეგები.

შემდეგ პოლ ელუარმა გამოაქვეყნა მიმართვა ებატ ბულეისი, რომელიც მიტინგს ვერ დაესწრო.

თავის მიმართვაში ებატი-ამხილებს ომისგამჩაღებელთ და მოუწოდებს აგრესიის ძალებისადმი მტკიცე წინააღმდეგობის გაწევისაკენ.

საბჭოთა მწერალმა ა. ფადეევმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ, თავის სიტყვაში მოაგონა დამსწრეთ, რომ მილიონობით ქალი და კაცი მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლი გახდა. „მიეხედავად ისტორიის ამ საშინელი და სულ ამ ცოტა ხნის წინათ მოცემული გაკვეთილისა,—თქვა მან,—სურთ მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი აღმოჩენები გამოიყენონ არა კაცობრიობის საკეთილდღეოდ, არამედ ცივილიზაციის ნაყოფის დასაწყვეტად და კვლავ მილიონობით ბავშვთა, ქალთა და მოხუცთა მოსასპობად“.

ფადეევმა ამხილა ისინი, ვინც მთელ რიგ ქვეყნებში „პრესისა და რადიოს საშუალებით აშკარად მოუწოდებს იარაღის ძალით საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებისაკენ და პროპაგანდას ეწევა ეროვნული და რასობრივი უპირატესობის შესახებ“.

„არავითარი ეჭვი არ არის,—განაგრძო ფადეევმა,—რომ ქალთა და მამაკაცთა დიდი უმრავლესობა მშვიდობის მომხრეა და ბედნიერი იქნება თუ გზას გადაეღობავს ომს. არის სხვადასხვა წინადადებანი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა. მაგრამ ერთი რამ უდავოა: მშვიდობის ყველა ჭეშმარიტი მეგობარი უნდა გაერთიანდეს განურჩევლად მათი თვალსაზრისისა მშვიდობის პრობლემის გადაჭრის საშუალებათა შესახებ და განურჩევლად მათი პოლიტიკური რწმენისა.

ჩვენ, საბჭოთა მამაკაცები და ქალები, გონებრივი და ფიზიკური შრომის წარმომადგენლები, სულითა და გულით ვუჭერთ და ყოველთვის დავუჭერთ მხარს ყოველგვარ საერთაშორისო ინიციატივას, რომლის მიზანია მშვიდობის დაცვა მთელ მსოფლიოში“.

ემე სეზერმა დაგმო ომი, რომელსაც ეწევიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კოლონიური ხალხების წინააღმდეგ.

„არ ვამხილოთ ისინი, ვისაც ომი სურს, ვისაც ომი მარაგში აქვს, ვისაც ომი ესაჭიროება,—თქვა ორატორმა,—ეს ომისათვის ხელშეწყობას ნიშნავს“.

შემდეგ გამოვიდა ელა უინტერი, რომელმაც აღნიშნა ამერიკელი ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი და ამხილა ამერიკელი იმპერიალისტების ომის გეგმები.

ინდოეთის დელეგატმა ანილ დე სილვამ დაასურათა ინდოეთის ძმრომელთა ძძიმე ძდგომარეობა.

„ინდოელი ხალხის იმედი და მისი მისწრაფება თავისუფლებისადმი,—თქვა მან,—არ განხორციელდა. ინდოეთს სათავეში უდგას 7-8 დიდი ტრესტი, რომლებიც ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებთან ერთად ომისათვის ემზადებიან. ინდოეთი იმპერიალიზმის სამხედრო ბაზად გადაიქცა“.

დასასრულ ანილ დე სილვამ რწმენა გამოთქვა, რომ ინდოეთის ხალხთა ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდება.

იტალიელმა მხატვარმა რენატო გუტუზომ თავის სიტყვაში გონებრივი შრომის მუშაკებს მოუწოდა—ამხილონ ომის ძალები.

პოლონეთის დელეგატმა რეპინსკიმ თავის სიტყვაში ცხადყო, რომ პოლონეთში კრედიტებს გამოყოფენ უმთავრესად სახალხო განათლებისათვის, კულტურის განვითარებისა და სოციალური უშიშროებისათვის და არა სამხედრო საჭიროებისათვის.

შემდეგ სიტყვა აიღო ინგლისის დელეგატმა კროუტერმა. „20 წლის წინათ,—თქვა მან,—სსრ კავშირში სამეცნიერო მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ვიწინასწარმეტყველე, 1949 წელს სსრ კავშირი მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვეყანა გახდება მეთქი. ძლიერებას მარტო მოწინავე ტექნიკა როდი იძლევა; მას აგრეთვე და უმთავრესად იძლევა სოციალური სისტემის უპირატესობა; ამ სისტემის მეოხებით სსრ კავშირმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ყველა ექსპლოატირებულ მასებში და უწინარეს ყოვლისა აღმოსავლეთ აზიის ხალხის მასებში“.

პრაღის უნივერსიტეტის რექტორმა იან მუკარეოვსკიმ განაცხადა, რომ „ჩეხოსლოვაკიაში, რომელსაც თვითონ ხალხი მართავს, მშვიდობის ძალებს თვითონ სახელმწიფო მეთაურობს“.

განცხადება საბჭოთა ელჩისა თეირანში

თეირანი, 13 თებერვალი. (საკადესი). ირანის შაჰზე თავდასხმასთან დაკავშირებით ამას წინათ გაიმართა მეჯლისის სხდომა, სადაც სსრ კავშირის წინააღმდეგ ახალი გამოხდომა მოაწყეს ოფიციალურმა წრეებმა. ირანის შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის დროებითმა ამსრულებელმა ეგბალმა მეჯლისში გამოაქვეყნა ნაწყვეტები მითური „უბის წიგნაკიდან“, რომელიც თითქოს ჩამოართვეს შაჰზე თავდამსხმელ და რეაქციულ გაზეთ „ფარჰამე ისლამის“ კორესპონდენტ ვიღაც არამს. არამის „უბის წიგნის“ „ნაწყვეტებში“ რომლებიც ეგბალმა მოიყვანა, ნათქვამია, თითქოს ირანის სახალხო პარტიას ეხმარებოდნენ „რუსები“.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ელჩმა ირანში ამხ. სადჩიკოვმა 12 თებერვალს ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჰექმათი და შემდეგი განცხადება გაუკეთა მას:

6 თებერვალს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის ამსრულებელმა ეგბალმა, მეჯლისში წაიკითხა ზოგიერთი მასალა, რომელიც გადაკრულად იხსენიებს რუსების ეგრეთ წოდებულ ჩარევას ირანის პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში.

მეჯლისში ამ საეჭვო წარმოშობის მასალების გამოქვეყნება, რომლებიც აღნიშნულ ცილისმწამებლურ მონაჭორს შეიცავენ, საბჭოთა საელჩოს მიაჩნია ყალბ და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციულ აქტად, რომელიც ნავარაუდევია საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის გაუარესებისათვის ზოგიერთი უცხოელი წრეების საამებლად.

ჰექმათმა აღუთქვა ელჩს, თქვენს განცხადებას ჩემს მთავრობას მოვახსენებო.

დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნის გეგმები

ბერლინი, 12 თებერვალი. (საკადესი). ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის სახალხო მოძრაობის ყოველკვირეული გაზეთი „დოიჩლანდს შტიმე“ იუწყება, რომ დასავლეთ გერმანიიდან კვლავ მოდის ცნობები, რომლებიც დიდ შეშფოთებას იწვევენ.

„საიდუმლოებას არ წარმოადგენს, — წერს გაზეთი, — რომ ამ წრეებში, რომლებიც თავს იყრიან გენერალ კლეის გარშემო, არათუ ლაპარაკობენ დასავლეთ გერმანიის რეგულარული არმიის შექმნაზე, არამედ უკვე აღგენენ კონკრეტულ გეგმებს... მარშალის გეგმა სამხედრო დარგში მიმართულია სახელმწიფოთა ისეთი აგრესიული ბლოკის შექმნისაკენ, რომლისთვისაც დასავლეთი გერმანია უნდა გახდეს, ჯერ-ერთი, ბრძოლის ასპარეზი და, მეორეც, საზარბაზნე ხორცის მიმწოდებელი.

ამასთან საშინელი ის არის, რომ გერმანელ პოლიტიკოსებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ამ თამაშში. ცნობილ პუბლიცისტ კოგონს ჟურნალ „ფრანკფურტერ ჰეფტეში“ მოჰყავს მაინის ფრანკფურტში არსებული ერთი ამერიკული საგაზეთო ცნობის ამონაწერი, რომელშიც ნათქვამია: „ბევრ ხელმძღვანელ გერმანელ პოლიტიკოსს ასულდგმულებს სასიხარულო იმედი, რომ დასავლეთ გერმანიას ნებას მისცემენ შექმნას თავისი არმია, რათა ამ არმიას შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს დასავლეთ ევროპის თავდაცვაში. ზიზნიის ერთმა ხელმძღვანელმა მოღვაწემ ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის თანამშრომელს განუცხადა, რომ დასავლეთ ევროპის კავშირის სახელმწიფოებმა უმაღლესი ხარდლობა შექმნეს, მაგრამ ჯარისკაცები არა ჰყავთ. დასავლეთ გერმანიას შეუძლია ჯარები მიაწოდოს მათ“.

შემდეგ კოგონი წერს: „უკვე მოწვეული არიან სპეციალისტები. არსებობენ ტექნიკური დაწესებულებანი და ზოგიერთი დამხმარე გაერთიანება, რომელთა ხასიათიც შორს სცილდება სამრეწველო პოლიციის ფარგლებს“.

ფინეთის მშრომელები გმობენ ფინეთის მთავრობის პოლიციას

ჰელსინკი, 13 თებერვალი. (საკადესი). პრესის ცნობების თანახმად, ფინეთის ბევრ რაიონში იმართება დემოკრატიულად განწყობილი ფინელ მოქალაქეთა მიტინგი. ტამპერის მსობრივ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სეიმის მეორე ვიცე-თავმჯდომარემ — ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის წევრმა კუიალამ, რომელმაც მრავალი მაგალითით ცხადყო, რომ „ფაგერჰოლმის მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა დამლუპველია ფინეთისათვის“.

კრების მონაწილეებმა რეზოლუცია მიიღეს, რომლითაც მოითხოვენ გადაჭრით შეიცვალოს მთავრობის ახლანდელი კურსი და კერძოდ მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა. რეზოლუცია მოითხოვს აგრეთვე გაუმჯობესდეს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, შეწყდეს მათ წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა, აგრეთვე რადიოგადაცემის საპროგრამო საბჭოდან გაირიცხოს რეაქციონერი იაბვეტი.

ასეთი მიტინგი გაიმართა ნოკიასა და ოსენსუუში.

გაიხსნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალი

ულან-ბატორი, 12 თებერვალი. (საკადესი). დღეს ულან-ბატორში გაიხსნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მე-9 დიდი სახალხო ხურალი, რომელსაც 500 დეპუტატი და მრავალი სტუმარი ესწრება.

ხურალი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა მცირე ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბუმაცენდემ.

დიდი სახალხო ხურალის თავმჯდომარედ არჩეულია უხუცესი დეპუტატი ბულგანი—მოწინავე მეჯოგე უბსანურის აიმაკიდან.

დამტკიცებულია დიდი ხურალის შემდეგი დღის წესრიგი:

1) მოხსენება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის შთავრობის მუშაობის შესახებ—მომხსენებელი ჩოიბალსანი.

2) მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაციის შესახებ—მომხსენებელი ცედენბალი.

3) მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მცირე ხურალის არჩევნები.

მარშალი ჩოიბალსანი, რომელმაც დღეს მოხსენება გააკეთა, დაწვრილებით შეჩერდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობაზე უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში, რაც მე-8 დიდი ხურალის შემდეგ გავიდა.

ჩოიბალსანმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ „იმ წარმატებებს, რომლებიც საანგარიშო პერიოდში მიღწეულია ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების საქმეში, ჩვენ ვუმადლით საბჭოთა კავშირს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს“.

ჩოიბალსანმა ილაპარაკა თავისი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე და თქვა: საბჭოთა კავშირის ძმური უანგარო დახმარების მეოხებით განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოხდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. შექმნილია მრეწველობის ახალი დარგები, ამაღლდა ჩვენი ხალხის კულტურული და პოლიტიკური დონე, განუხრელად იზრდება მშრომელი მასების კეთილდღეობა.

ჩოიბალსანმა აღნიშნა წარმატება მეცხოველეობის — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის საფუძვლის—დარგში. მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქცია 1948 წელს ფულადი გამოხატულებით 61 მილიონ ტუგრიკამდე გადიდდა, 1940 წელს კი 33 მილიონი ტუგრიკი იყო.

თუ ამას წინათ მონღოლეთის სახალხო რეს. პუბლიკას შემოქონდა ერზო-კარაქი, ახლა მას იგი გააქვს დაახლოებით 3 ათასი ტონის რაოდენობით წელიწადში.

მეცხოველეობის მეურნეობას სულ უფრო მეცნიერული საფუძველი ეძლევა.

არატა მეურნეობების ნათესი ფართობი 9 წლის განმავლობაში გადიდდა ერთნახევარჯერ, სახელმწიფო მეურნეობებში — ორნახევარჯერ; საერთო მოსავალი სახელმწიფო მეურნეობებში ოთხნახევარჯერ გადიდდა.

შემდეგ ჩოიბალსანმა აღნიშნა მეურნეობის ერთობლივად გაძღოლის დარგში არატების საწარმოო გაერთიანებათა დიდი მნიშვნელობა. საანგარიშო პერიოდში, — თქვა მან, — გაერთიანებათა წევრების რაოდენობა სამნახევარჯერ გადიდდა. პირუტყვის რაოდენობა გაერთიანებულ მეურნეობებში გადიდდა სამნახევარჯერ; ამჟამად ჩვენს ქვეყანაში არსებობს არატთა 110 გაერთიანება.

საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი დახმარების მეოხებით, — თქვა ჩოიბალსანმა, — საანგარიშო პერიოდში წარმატებით ვითარდებოდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობა, შეიქმნა წარმოების ახალი სახეები, გადიდდა პროდუქციის გამოშვება. ძირითადად მრეწველობამ შეასრულა 1948 წლის — ხუთწლედის პირველი წლის გეგმა.

საცალო საქონელბრუნვა საანგარიშო პერიოდში ერთიორად გადიდდა. მნიშვნელოვნად გადიდდა, — ნაზგასმით აღნიშნა ჩოიბალსანმა,— საბჭოთა კავშირიდან საქონლის შემოტანა.

შემდეგ მან ილაპარაკა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განსაკუთრებულ ზრდაზე. კერძოდ, საავადმყოფოთა რაოდენობა 9 წლის განმავლობაში გადიდდა ერთნორად, სამედიცინო პუნქტებისა — ექვსჯერ და მეტად, სამშობიარო განყოფილებათა, სამეანო პუნქტებისა და ქალთა კონსულტაციებისა — 36-ჯერ. გაიზარდნენ ექიმებისა და სხვა სამედიცინო მუშაკთა ეროვნული კადრები.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სასწავლებლებში უკანასკნელი წლების მანძილზე მომზადებულია სამი ათასამდე ფერშალი და სამედიცინო და.

განუხრელად იზრდება სკოლებისა და სხვა სასწავლებლების, აგრეთვე კლუბების, ბიბლიოთეკების, საკითხველოების, წითელი კუთხეების, კინოთეატრების ქსელი. შეიქმნა ეროვნული ცირკი, ესტრადის თეატრი, თოჯინათა თეატრი, საქანდაკო სახელოსნო.

კინოფიფიკაციამ საბჭოთა კინომუშაკების დახმარებით გამოუშვა მთელი რიგი ფილმები და ასზე მეტი კინოჟურნალი.

ჩოიბალსანმა აღნიშნა აგრეთვე პრესის დიდი განვითარება. ამჟამად, გარდა ცენტრალური გაზეთებისა, ყოველ აიმაკს თავისი ნაბეჭდი გაზეთი აქვს. სულ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში გამოდის 28 გაზეთი და 10 ჟურნალი.

დეპუტატთა ტაშის გრიალში ჩოიბალსანმა თავისი მოხსენება იმით დაამთავრა, რომ დღეგრძელობა უსურვა მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

აღფრთოვანებულ ოვაციებსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნების გუგუნში ხურალის დეპუტატებმა მიიღეს მისალმებანი ი. ბ. სტალინისადმი, ნ. მ. შვერნიკისა და ჩოიბალსანისადმი.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები კანადაში

კანადის პრემიერ-მინისტრის განცხადება ვაშინგტონის პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 13 თებერვალი. (საკადესი). კანადის პრემიერ მინისტრმა სენ-ლორანმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ კანადას განზრახული აქვს მჭიდრო სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობა განაგრძოს შეერთებულ შტატებთან.

სენ-ლორანის პასუხიდან ერთ-ერთი კორესპონდენტის შეკითხვაზე იმ ბაზების შესახებ, რომლებიც შეერთებულ შტატებს კანადაში აქვთ, გამოირკვა, რომ შეერთებული შტატები კონტროლს უწევენ თვითმფრინავთა იძულებითი დაშვებისათვის განკუთვნილ სამ აეროდრომს, ამასთან სენ-ლორანმა აღნიშნა, რომ ამ აეროდრომებზე არ არის კანადის სამხედრო სარდლობის არც ერთი წარმომადგენელი, თუმცა თეორიულად ასეთი წარმომადგენლები იქ უნდა იყვნენ. შემდეგ მან განაცხადა, რომ შორეულ ჩრდილოეთში შეერთებულ შტატებს აქვთ აგრეთვე „რამდენიმე“ მეტეოროლოგიური სადგური და მთელი რიგი რადარული სადგურები. სენ-ლორანმა განაცხადა, არ შემიძლია ვთქვა ასეთი სადგური რამდენიაო.

როცა სენ-ლორანს შეეკითხნენ, კანადა წინაალმდეგია თუ არა კანადის ტერიტორიაზე რადარული სადგურების შექმნის ამერიკული გეგმებისაო, მან უპასუხა: „საქმე ეხება არა იმდენად წინაალმდეგობას, რამდენადაც იმას, რომ ჩემ მიერ განხილული გეგმები ისე დიდ ხარჯებს მოითხოვს, რომ, თუ ეს გეგმები შესრულდა, მცირე სახსრები დარჩება რაიმე სხვა პროექტთა განსახორციელებლად“. ის პირნი, რომლებიც გეგმებს ადგენენ კანადასა და შეერთებულ შტატებში, ამ საკითხზე მუშაობენ, მაგრამ გეგმების შედეგნა თითქოს „ჯერჯერობით ამ წინასწარ სტადიას არ სცილდება“.

შეკითხვაზე, თუ რა პოზიცია უჭავია კანადას იმ ბაზების შესახებ, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა იჯარით მიიღეს ნიუფაუნდლენდში 1941 წელს შეერთებულ სამეფოსთან შეთანხმებითო, სენ-ლორანმა უპასუხა, რომ კანადა „კეთილმოსურნეობით არ ეკიდება“ ამ შეთანხმებას, განსაკუთრებით იმ მომენტიდან, რაც კანადის პარლამენტმა მოიწონა ნიუფაუნდლენდის შეერთება კანადისათვის.

სენ-ლორანმა განაცხადა, ტრუმენთან განვიხილავ ჩრდილო ატლანტიკის პაქტის საკითხსო. სენ-ლორანი, როგორც ჩანს, ცდილობდა გაემართლებინა პაქტისათვის კანადის მხარდაჭერა და ამტკიცებდა, რომ კანადა, როგორც მეექვსპორტე ქვეყანა, „დიდად არის დაინტერესებული ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთი ნაწილის უშიშროებით“.

შეკითხვაზე, თუ როგორ უყურებს კანადა პანამერიკული კავშირისადმი შეერთებასო, სენ-ლორანმა უპასუხა, კანადის აზრით, უფრო მნიშვნელოვანია დაიდოს ჩრდილო-ატლანტიკის კავშირი, ვიდრე ამერიკულ ქვეყნებს შორის კავშირი გაფართოვდესო.

მაქს რაიმანის დროებით განთავისუფლება

ლონდონი, 12 თებერვალი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დიუსელდორფიდან იუწყება, ინგლისის სამხედრო გუბერნატორმა გერმანიაში რობერტსონმა 12 თებერვალს ბრძანება გასცა დროებით გათავისუფლონ პატიმრობისაგან გერმანიის ოკუპაციის დასავლეთი ზონების კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე მაქს რაიმანი. გერმანელი სააგენტო დპდ იუწყება, რომ ეს განკარგულება გაკეთებულია იმისათვის, რომ რაიმანმა შეძლოს მონაწილეობის მიღება ბონის სპარლამენტო საბჭოს სხდომაში, რომლის წევრიც იგია.

ქრონიკა

ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი ჯონ ა. ლ. სტრონგი, რომელიც სსრ კავშირში შემოიპარა საგარეო ურთიერთობის ზოგიერთი მოხელის წინდაუხედავობის გამო, გუშინ დაპატიმრებულ იქნა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ. ქ-ნ სტრონგს ბრალად ედება ჯაშუშურ-ძირგამომთხრელი საქმიანობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

იუწყებიან, რომ ამ დღეებში იგი გაძევებულ იქნება საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. (საკადესი).

ქართული ლიტერატურისა და მუსიკის საღამო რიგაში

ამ დღეებში ლატვიის სს რესპუბლიკას დედაქალაქ რიგაში შედგა საქართველოს სს რესპუბლიკისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო.

საქართველოში სოციალისტური მშენებლობის წარმატების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ლატვიელი მწერალი ვანგა. ლატვიის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ჟანის კატლაიპმა, მსახიობებმა მარტი სილსმა და ჟანის ბროსლამ წაიკითხეს ლატვიელი პოეტის იანის პლაუდისის ლექსები—„საქართველო“, „მთის პეიზაჟი“, „რუსთაველის პროსპექტი“ და სხვ.

საღამოს მუსიკალურ ნაწილში შესრულებულ იქნა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებნი. ლატვიის სსრ ხელოვნების, დამსახურებულმა მოღვაწემ გერმან ბრაუნმა ფორტეპიანოზე შეასრულა კომპოზიტორ შ. თაქთაქიშვილის ნაწარმოებნი, ოპერისა და ბალეტის სოლისტმა ო. პეტროვსკიმ—ტარიელის არია შ. მშველიძის, ოპერიდან „ამბავი ტარიელისა“.

დასასრულ პოეტმა იანის პლაუდისმა წაიკითხა თავისი ახალი ლექსები საქართველოზე.

საღამო დიდი წარმატებით ჩატარდა.

საღამოს მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოსადმი მიძღვნილმა ფოტო-გამოფენამ. (საკადესი).

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი

მეშვიდე ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ებრალიძე-ფირცხალავას პარტიამ. შავებმა კარგად გათამაშეს ნიმცოვიჩის დაცვა და შეთამაშში უპირატესობას მიაღწიეს. ცაიტნოტში ებრ